# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 19 დეკემბერი 2007 №293 (3216) ფასი 50 თეთრი




## ქართული ხმები

### კლაუს ტოპმიოლერმა და კახა კალაძემ მსოფლიო სამეული თითქმის დასვეს

### კაკა. მესი. რონალდუ
### კაკა. მესი. რონალდინიო

მალავი, სეიშელი, ტაიტი, შვეიცარია: გუშინ გამოქვეყნდა, ციურიხში გამართულ ფიფას გალა-დაჯილდოვებაზე თუ ვინ ვის მისცა ხმა. მსოფლიოს ნაკრებთა მწვრთნელ-კაპიტნებიდან ოდენ ოთხმა ქვეყანამ გამოიცნო ზუსტად ფიფას ვერსიით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელთა სამეული. რა თქმა უნდა, ეს ბევრსაც არაფერს ნიშნავს, უბრალოდ, საინტერესო ფაქტია. ქართულ ვარიანტში კი განსხვავება ოდენ რამდენიმე ასოშია

## უკრაინულ კლუბებში ჩვენებზე მოთხოვნაა

### ლაშა ჯაკობიას და დავით კვირკველიას მწვრთნელები აკითხავენ





ეროვნული ბიბლიოთეკა

# პატრულის უფროსი ფეხბურთში რიგითია



**თბილისის და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ ფეხბურთის თავგადაკლული ქომაგი გამოდგა. სიმართლე რომ ითქვას, ეს ამბავი რომ გავიგე, ინტერვიუც ამიტომ ვთხოვე. ამასთან ერთად, ისიც გაირკვა, რომ ქალაქის მთავარი პატრული ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველი ყოფილა, რაც ჩვენთვის სასიამოვნო ამბავია. ქართული და მსოფლიო ფეხბურთი, მისი რაობა და გაგება ამ ხალისიანი და კეთილად განწყობილი ფანის თვალით, ვფიქრობ, მხოლოდ ჩემთვის არ უნდა იყოს საინტერესო. პატრულთუხუცესი და ფეხბურთი: აი, ჩვენი თემა.**

**— „სარბიელის" დიდი ქომაგი ვარ, თქვენს გაზეთს ყოველდღე ვკითხულობ, პირველიდან მოყოლებული ნომერი არ ჩამიგდია, კარგ გაზეთს აკეთებთ — გვითხრა გიორგი გეგეჭკორმა და ამ სიტყვებისთვის მადლობის მეტი რა გვეთქმის...**

**— მხოლოდ ფეხბურთის გვერდებს კითხულობთ?**

— არა, პირველი გვერდიდან ვიწყებ და მეთექსმეტემდე ჩავდივარ. ყველაფერს ვკითხულობ.

**— რა არ მოგწონთ „სარბიელში"?**

— „სარბიელი" ისეთი მომწონს, როგორიც არის. კარგია, რომ ამდენი წლის განმავლობაში გაზეთმა ხერხემალი შეინარჩუნა. თქვენ სათქმელს ყოველთვის ამბობთ და ობიექტურობის პრინციპებს არ ღალატობთ... ისე, კარგი იქნება თუ უფრო მეტს დაწერთ არცთუ გამორჩეულ ლიგებში მოთამაშე ქართველ ლეგიონერებზე. როგორც ვიცი, ისინი საკმაოდ ბევრნი არიან.

**— კეთილი, ამას აუცილებლად გავითვალისწინებთ. მოდით, ახლა თქვენზე ვისაუბროთ. ადრე თქვენც თამაშობდით?**

— დიახ, „ნორჩი დინამოელის" აღსაზრდელი ვიყავი და ერთი პერიოდი ზურაბ ხიზანიშვილთან და ოთარ ხიზანეიშვილთან ერთად ვთამაშობდი. მოგვიანებით კი არჩევანის წინაშე დავდექი — სპორტი თუ სწავლა. იურისტობა ძალიან მინდოდა და საბოლოოდ ამ პროფესიამ გადასწონა ფეხბურთს. უნივერსიტეტში ჩავაბარე და აქტიურ სპორტს შევეშვი.

**— და ყინს ახლა მხოლოდ სტადიონის ტრიბუნიდან ფეხბურთის ყურებით იკლავთ?**

— არა მარტო — მეგობრებთან და კოლეგებთან ერთად ფეხბურთს ყოველ კვირას ვთამაშობ. მოუცლელობის მიუხედავად სამისო დროს მაინც ვპოულობ. ფეხბურთის თამაშიც მსიამოვნებს და მისი ყურებაც.

**— საქართველოს ნაკრების გარდა, რომელი გუნდის ქომაგი ხართ?**

— იტალიის. მისი თამაში პირველად 1988 წელს ვნახე და მას შემდეგ ამ გუნდისთვის აღარ მიღალატია.

**— აბა, ევროპის ჩემპიონატის წინა შესარჩევი ჯგუფის მატჩებისას მგრად ინერვიულებდით. იტალიას შოტლანდიაში რომ ვერ მოეგო...**

— დიახ, მართლა ვინერვიულე, მაგრამ მაინც მჯეროდა, რომ იტალია ევროპის ჩემპიონატის მიღმა არ დარჩებოდა.

**— ახლა კი იტალია ისევ საქართველოს მეტოქეა...**

— ჩვენების წარმატებისთვის იტალიის მეტოქეობა სასურველი არ არის, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ნებისმიერ შემთხვევაში საქართველოს ნაკრების მეტოქე ერთი გრანდი მაინც იქნებოდა. ამ გრანდებიდან კი პირადად მე, იტალია ყველას მერჩივნა. იცით ჩემი მანქანის ნომერი და სერია? ITA 004. ეს ნომერი მეგობრებმა მაშინ მაჩუქეს, როცა იტალია გერმანიაში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. 004-იც მსოფლიოს ჩემპიონობის რაოდენობას აღნიშნავს.

**— ფეხბურთელებიდან ვის გამოარჩევთ?**

— ჩემი კერპი რობერტო ბაჯო იყო. მის გარეშე ფეხბურთი ჩემთვის წარმოუდგენელი გახლდათ. ახლა კი ყველაზე მეტად ფრანჩესკო ტოტის ვქომაგობ.

**— დელ პიეროს არა?**

— სხვათა შორის, თავის დროზე სწორედ დელ პიერო იყო ბაჯოს კონკურენტი და ალბათ ამიტომაც მის მიმართ ნაკლები სიმპათია მაქვს.

**— იტალია — საქართველოს მატჩებზე ხართ ნამყოფი?**

— სამწუხაროდ ეს ჯერ ვერ მოვახერხე, არადა სამჯერ იყო ამის შანსი. ახლა იტალია ისევ ჩვენების მეტოქეა და იმედი მაქვს, ამჯერად მაინც შევძლებ იტალიაში იმ მატჩზე დასწრებას.

**— ჩვენი ნაკრების საშინაო მატჩებზე ხშირად დადიხართ?**

— 1990 წლიდან მოყოლებული სულ ორი მატჩი მაქვს გაცდენილი. აქედან ერთი ჩვენებისთვის დღემდე საუკეთესოდ მიმაჩნია — ეს 1995 წელს ბულგარეთთან თამაში იყო. მეორე გაცდენილი შეხვედრა კი ახლახან ურუგვაისთან გამოდგა. ორივე თამაშისას უცხოეთში ვიყავი და მატჩებს ამიტომ ვერ დავესწარი.

**— რაიმე საფეხბურთო კოლექცია გაქვთ?**

— კოლექცია არა, მაგრამ კახა კალაძის მილანური და ლუკა ტონის იტალიის ნაკრების მაისურა მაქვს. ორივე ფეხბურთელებმა მაჩუქეს, ტონის თბილისში თავად შევხვდი.

**— ქართველი ფეხბურთელებიდან ვის გამოარჩევთ?**

— თემურ ქეცბაიასა და შოთა არველაძეს. ნაკრების ამ შემადგენლობიდან კახა კალაძესა და მალხაზ ასათიანს, უმცროსებისგან კი ლევან ყენიასა და ლევან მჭედლიძეს, ისინი იმედისმომცემი ბიჭები არიან და ალბათ დიდ ფეხბურთს ითამაშებენ.

**— როგორ ფიქრობთ, საქართველოს ნაკრების წარმატების რეცეპტი როგორი უნდა იყოს?**

— ფეხბურთში სახელმწიფოს როლი კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს, ფიფა-უეფას გამოყოფილი თანხები კი სწორი მიმართულებით წავიდეს. ჩვენ დიდი საფეხბურთო ტრადიციების ქვეყანა ვართ, ვიცით დიდი ფეხბურთი რაც არის და გვინახავს, როგორ თამაშობდნენ დიდი ქართველი ფეხბურთელები. არ გვეკადრება რომ ყოველთვის მეხუთე თუ მეექვსე კალათაში ვიყოთ და გრანდებს შორიდან ვუცქიროთ. ეროვნული ჩემპიონატის დონე უნდა გამოსწორდეს და ამაღლდეს და კიდევ მეტი ყურადღება დაეთმოს მწვრთნელების მომზადებას. მართალია, კვალიფიცირებული ქართველი მწვრთნელები ბევრი არ გვყავს, მაგ-რამ ვინც არიან, მათი ცოდნის გასაღრმავებლად ყველაფერი უნდა კეთდებოდეს. ეს პრობლემები თუ მოგვარდა, წარმატებაც მალე მოვა.

**— წინა შესარჩევ ჯგუფშიც, როგორც ადრე, იმედები ისევ გაგვიცრუვდა...**

— მართალია. კლაუს ტოპმოლერისგან გაცილებით მეტს ველოდი და იმედი მქონდა, კარგ შედეგს თუ ვერ მიაღწევდა, გუნდს ხარისხიან ფეხბურთს მაინც ათამაშებდა. რაც გამოვიდა, ყველამ ნახა. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, მჯერა, რომ წინა შესარჩევი, ასე ვთქვათ, მოსამზადებელი პერიოდი იყო და შემოდგომიდან ჩვენი ნაკრები სასურველ შედეგს აჩვენებს და კარგ ფეხბურთსაც ითამაშებს. ვფიქრობ, რომ საქართველოს ნაკრებს ყველაზე მეტად შეთამაშების პრობლემა აქვს. ნახეთ, თითქმის ყველა ფეხბურთელი ცალ-ცალკე უმაღლეს დონეზე თამაშობს, ერთად კი ვერაფერს აკეთებენ. ჩემი აზრით, პირველყოვლისა სწორედ შეთამაშების პრობლემაა მოსაგვარებელი, მერე კი ყველაფერს ეშველება. გარედან ჩანს, რომ ნაკრებს მონდომება და ერთსულოვნება არ აკლია, მაგრამ მოედანზე სწორედ შეუთამაშებლობის პრობლემა იკვეთება.

**— ჩვენი ნაკრების ყველაზე კარგი მატჩი რომელი იყო?**

— წინა შესარჩევში უდავოდ შოტლანდიასთან შეხვედრა, საერთოდ კი ბულგარეთთან 2:1 მოგებული თამაში.

**— მომავალ შესარჩევზე რას იტყვით?**

— იმას, რომ მეორე ადგილზე გასვლის კარგი შანსი გვაქვს. გამოცდილება და წარსული გვიჩვენებს, რომ საქართველოს ბულგარეთთანაც და ირლანდიასთანაც შეუძლია ტოლ-სწორად თამაში. გახსოვთ, ირლანდიასთან თბილისში საქართველოს მოსაგები მატჩი ჰქონდა, მაგრამ რაღაც სასწაულებრივად წავაგეთ.

ცუდი კი ისაა, რომ მეექვსე კალათიდან ჩვენს ჯგუფში ყველაზე ძლიერი გუნდი მოხვდა — ჩერნოგორია. იმ კალათაში გაცილებით სუსტი გუნდებიც იყვნენ. ისე, კარგი იქნებოდა, მეტოქედ რუსეთიც გვყოლოდა, ჩვენებს, როგორც ჩანს, მათთან თამაში კარგად გამოსდით. მომავალ შესარჩევში კი იმის იმედიც მაქვს, რომ ნაკრებს გაუთავებლად აღარ ექნება ფეხბურთელთა ტრავმიანობის პრობლემა.

**— საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზე თუ დადიხართ?**

— როცა დრო მაქვს, დავდივარ, თუმცა ეს იშვიათად ხდება. მატჩები შუადღისას ტარდება და სამსახურს ვერ გავაცდენ.

**— ქართული კლუბებიდან რომელს ქომაგობთ?**

— „ამერს". თამაშის ხარისხით, შედეგებით, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურითა და საქმისადმი მიდგომით „ამერი" ჩემთვის მართლაც გამორჩეული ქართული კლუბია და ქომაგის სიყვარულს იმსახურებს. თან ფაქტია, რომ ევროსარბიელზე „ამერი" ყველა ქართულ კლუბზე ღირსეულად თამაშობს. არ შევრცხვება, რომ ამ გუნდს ქომაგობ. სულ რამდენიმე წლის შექმნილი კლუბია და ჯერ კინაღამ სახელოვანი „ჰერტა" დაამარცხა, მერე კი პოლონეთის ვიცე-ჩემპიონ „ბელხატუვთანაც" ძალიან ცოტა დააკლდა. „ამერის" მონდომება და მიზანმიმართულება ბევრისთვის სამაგალითო უნდა იყოს.

**— უცხოური კლუბებიდან რომლისკენ ხართ?**

— ტოტი უკვე ვახსენე და, მასთან ერთად, ცხადია, „რომას" ვქომაგობ.

**— სამსახურში გყავთ ფეხბურთის გუნდი?**

— დიახ, თან კარგი გუნდი. ამას წინათ შინაგან საქმეთა სამინისტროში ტურნირი ჩატარდა და ჩვენ მხოლოდ ფინალში დავმარცხდით.

**— მეტოქე ვინ იყო?**

— სპეცდანიშნულების რაზმის გუნდი. ფიზიკურად კარგად არიან მომზადებულნი და სწორედ ამით გვაჯობეს. თუმცა, თავად 24 გოლით ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გავხდი.

**— თავდასხმაში თამაშობთ?**

— ადრე მცველი ვიყავი, ახლა კი თავდასხმაში გადავინაცვლე მოწოდებით ფორვარდი ვარ.

**— გმადლობთ, წარმატებებს გისურვებთ...**

— მადლობა „სარბიელს" ქართული ფეხბურთისთვის კარგი საქმეების კეთებისთვის...

**ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ**

---

**ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ**

**ᲚᲘᲒᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ. 1/4 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ**

**ᲡᲘᲢᲘ 0:2 ᲢᲝᲢᲔᲜᲔᲛᲘ**

**ᲑᲚᲔᲥᲑᲔᲠᲜᲘ 2:3დ.დ.(2:2) ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ**

---

**ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲐ**

**III ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ**

**ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ**

**ᲓᲐᲛᲑᲐᲠᲢᲝᲜᲘ 3:1 ᲘᲡᲢ ᲡᲢᲘᲠᲚᲘᲜᲒᲘ**

# დავით კვირკველიას ორი მხრიდან უტევენ

## აქაც და იქაც მეტალურგია

**უკრაინული** საინფორმაციო საშუალებების ცნობით, შესაძლოა, საქართველოს ნაკრების მარცხენაფლანგელმა დავით კვირკველიამ კლუბი შეიცვალოს. თუ ასე მოხდა, ჩვენებური მეტალურგელად კი დარჩება, თუმც ზაპოროჟიედან დონეცკში გადასვლა მოუწევს.

საქმე ის არის, რომ დონეცკის „მეტალურგის" მწვრთნელად ახლახან სერგეი იაშენკო დაინიშნა, რომელსაც თავის დროზე ზაპოროჟიეში უმუშავია და კვირკველიას შესაძლებლობები კარგად იცის.

„კვირკველია ერთ-ერთი ყველაზე კვალიფიციური შემსრულებელია იმათგან, ვისთანაც მიმუშავია. გარდა ამისა, ის ისეთ პოზიციაზე თამაშობს, რომლის გაძლიერებაც ჩვენი გუნდისთვის ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია. გულახდილად გეტყვით, რომ დათო ჩვენი ინტერესების სფეროში შედის. თუმცა გახდება თუ არა „მეტალურგის" ახალწვეული, ამაზე ჯერ დაზუსტებით ვერ გიპასუხებთ — სატრანსფერო საკითხები მოსაგვარებელია" — განუცხადა ჟურნალისტებს იაშენკომ.

მწვრთნელს კვირკველიას გადაბირება კი სურს, მაგრამ სხვა საკითხია, გაუშვებს თუ არა ზაპოროჟიეს „მეტალურგი" ქართველს — დათო ხომ ზაპოროჟიელთა ლიდერად ითვლება.

აი, რას წერენ უკრაინელები ქართველ ფეხბურთელზე, რომელმაც ამ სეზონში პირველად ვერ გაიტანა „მეტალურგის" მაისურით, თუმც გუნდში ყველაზე მეტი, შვიდი საგოლე პასი მიითვალა.

„მეტალურგში" ყველაზე სტაბილური დაცვის ხაზია, სადაც ბელორუსი იან ტიგორევი, დმიტრი ნევმიკავა და დავით კვირკველია თამაშობენ, თუმც გამორჩეულად საუბრის ღირსნი მხოლოდ ორნი — გუნდის კაპიტანი არტიომ ჩელიადინსკი და კვირკველია არიან. ქართველი, იმის მიუხედავად, რომ ეროვნულ გუნდში თამაშის გამო ხშირად უხდებოდა კლუბის რიტმიდან ამოვარდნა, როგორც ყოველთვის, სტაბილური და საიმედო იყო, მან ასევე შესაშური უნივერსალიზმი გამოავლინა, რადგან ჩემპიონატის მსვლელობისას მარტო მარცხენა მცველად არ უთამაშია, ხშირად მას მთელი ფლანგი ებარა და შეტევებშიც მწვავედ მიდიოდა".

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# ყველაზე კარგი ვორსკლა

## ჯაკობიამ პოლტავაში ლაპარაკი დაიწყო

**საქართველოს ნაკრების თავდამსხმელ ლაშა ჯაკობიას ხარკოვის „მეტალისტთან" საკონტრაქტო ვალდებულებები ამოეწურა, თუმც, როგორც ჩანს, უკლუბოდ ყოფნა დიდხანს არ მოუწევს. უკრაინული ვებგვერდები ადრეც წერდნენ, ჯაკობიას შეძენა პოლტავის „ვორსკლას" სურსო. გუშინ კი უფრო გარკვეული ცნობა გაჩნდა — „ვორსკლამ" და ჯაკობიამ სიტყვიერ შეთანხმებას მიაღწიესო.**

**გუშინვე ამ ინფორმაციის გადასამოწმებლად ჯაკობიას შევეხმიანეთ, რომელიც ახლა თბილისშია...**

— „დინამოსა" და „შახტარის" გარდა თითქმის ყველა უკრაინულ გუნდს სურდა ჩემი შეძენა. იყო ევროპული ვარიანტიც, რუსეთში „ტომი" და „ამკარიც" იყვნენ დაინტერესებულნი. მაგრამ ყველაზე მისაღები პირობები „ვორსკლამ" შემომთავაზა. ჯერ კონტრაქტზე ხელი არ მომიწერია, მაგრამ ალბათ წინ არაფერი დაუდგება. წლის ბოლომდე ყველაფერი გადაწყდება.

**— უკეთეს ვარიანტს ხომ არ ელი და თავს ამის გამო ხომ არ იკავებ?**

— პრინციპში არა. სხვა გუნდებში შესაძლოა ძირითადში მოხვედრა გარანტირებული არ მქონდეს. ტრავმის გამო ისედაც ბევრი გამიცდა, უთამაშებლობა კი აღარ მინდა. ამ ეტაპზე ყველაზე კარგი ვარიანტი „ვორსკლა" ჩანს.

**— რამდენწლიან კონტრაქტზეა საუბარი?**

— კლუბის პრეზიდენტს და მთავარ მწვრთნელს შევხვდი და ორწლიან კონტრაქტს მთავაზობენ. ამ საკითხზე ჯერ კიდევ სალაპარაკოა და საბოლოო გადაწყვეტილებასაც ამის მერე მივიღებ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ვინტერმაისტერი შაშიაშვილს მიეწერა




**სასწაული** სეზონი აქვს გრაცის „შტურმს": როგორია, გუნდი ბოლო წლებში ავსტრიის მაქსბუნდესლიგის ხუთეულს არ მიეკარებია, წლეულს კი 23 ტურის შემდეგ პირველ ადგილზეა.

ჩვენთვის კი სასიამოვნო ის არის, რომ ამ 23 მატჩიდან გიორგი შაშიაშვილმა 22-ში ითამაშა და უკლებლივ ყველა, ძირითადში.

„რაშია „შტურმის" წარმატების საიდუმლო? განსაკუთრებული არაფერია, უბრალოდ, ფრანკო ფოდას გუნდმა სეზონის წინ სასარგებლო ტრანსფერები განახორციელა. ბოსნიელი შემტევი სამირ მურატოვიჩი და ქართველი მცველი გიორგი შაშიაშვილი გუნდს ძალიან წაადგნენ" — წერს ავსტრიული ვებგვერდი „სპორტ-1".

მეტიც, მურატოვიჩი და შაშიაშვილი არათუ „შტურმის", წლევანდელ მაქსბუნდესლიგის საუკეთესო შენაძენებადაც დაასახელეს.

თუმცა „შტურმი" ოდენ ბურთების შეფარდებითაა ლიდერის პოზიციაზე, მის დარად, 37 ქულა კიდევ ორ გუნდს აქვს და „შაშის" გუნდს დღესაც არ თვლიან ჩემპიონობის მთავარ ფავორიტად, რაკილა, ჯოვანი ტრაპატონის „ზალცბურგსა" და ვენის „რაპიდს" უკეთესი შემადგენლობები ჰყავთ. და მაინც, WINTERMEISTER (ზამთრის ჩემპიონი) „შტურმი" გახდა.

შაშიაშვილი კი წინა 23 ტურში 3-ჯერ მოხვდა ტურის სიმბოლურ ნაკრებში — სტაბილური, დაცვაში თითქმის უშეცდომო და ელეგანტური სტილის ფეხბურთელიო, ასე წერენ ავსტრიელები გიორგიზე.

**ილია ნანობაშვილი**


ჩაერთეთ 3 ლარად!

საავანსო ბალანსი 3 ლარი



ტარიფი «მეგობრები»

სატარიფო გეგმა ძალაშია 31.01.2008-მდე

დაგვიკავშირდით
ქალაქის ქსელიდან: 20 0611
მობილურიდან: 0611

www.beeline.ge

ბილაინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

FIFA PLAYER 2007

# კაკა სიბერისთვის ემზადება

**კაკას კარიერის ჯადოსნური 12 თვე დასასრულს მიუახლოვდა. ისედაც კაშკაშა ვარსკვლავისთვის ტიტულებით ყველაზე უხვ წელიწადს მან მოიგო ჩემპიონთა ლიგა, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონის ტიტული და „ფრანს ფუტბოლის“ ოქროს ბურთი. მართალია, სახელი და დიდება ტანხმელი ბრაზილიელისკენ მძლავრ ნიაღვრად მიედინება, ის ცდუნებას არ ყვება და ცხოვრებისადმი დამოკიდებულებას არ ცვლის. და აი, კიდევ ერთი დიდებული წამი: კაკა ფიფას ვერსიითაც მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია. ამ დიდებულის გმირს fifa.com-მა ინტერვიუ ჩამოართვა**



AFP

**— ფიფას ვერსიით, თქვენ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ხართ. როგორი გრძნობა დაგეუფლათ?**

— მსოფლიოს სამ საუკეთესო ფეხბურთელს შორის ყოფნა უკვე დიდი ბედნიერებაა, ამას ახდენილი ოცნება ეწოდება. ეს არის სწორედ ის, რისკენაც ამქვეყნად ყველა ფეხბურთელი მიილტვის.

**— „ოქროს ბურთის“ ლაურეატს ჟურნალისტები ასახელებენ, ფიფასას კი ნაკრებების მწვრთნელები და კაპიტნები. თქვენი აზრით, ეს რაიმე განსხვავებას იძლევა?**

— ეს ორი ჯილდო მართლაც განსხვავებულია. კრიტიკოსებისგან აღიარება, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია მწვრთნელების სიმპათიაც. წლეულს ძალიან გამიმართლა, ორივე მხარის აღიარებას რომ მივაღწიე.

**— რას გვეტყვით ფინალური სამეულის კიდევ ორ წევრზე, ლეო მესისა და კრიშტიანუ რონალდუზე?**

— ეს გახლავთ უდიდესი მომავლის მქონე ორი საუცხოო ფეხბურთელი. ისინი წარმოუდგენელი ნიჭით არიან დაჯილდოვებულნი. დააკვირდით, მე 25 წლისა ვარ და ორივეზე უფროსი გახლავართ. ეს ნათელი დასტურია, რომ მსოფლიო ფეხბურთში განსაკუთრებული თაობა მოდის.

**— მართლაც საოცარი წელიწადი გქონდათ. და მაინც, რომელი მომენტი იყო საგანგებოდ გამოსაყოფი?**

— ალბათ, ჩემპიონთა ლიგის მოგება. ეს ჩემი კარიერის საკვანძო მომენტი იყო. ამაზე მაღლა აღარაფერია. საკლუბო დონეზე უდიდესი შეჯიბრება სწორედ უეფას ჩემპიონთა ლიგა გახლავთ.

**— თქვენ მსოფლიოს ვარსკვლავთა შორის არა მხოლოდ წლეულს, საერთოდაც ერთ-ერთი გამორჩეული ხართ. ვისი მაგალითი გიბიძგებთ მუდმივი წინსვლისკენ?**

— ბავშვობაში ჩემზე რაიმ მოახდინა წარუშლელი შთაბეჭდილება. ის „სან პაულუსა“ და „პარი სენ ჟერმენის“ ვარსკვლავი იყო. ვიზრდებოდი და ვუცქერდი, როგორ იგებდა მისი „სან პაულუ“ ტიტულს ტიტულზე. ყოველთვის მინდოდა რაისთვის მიმებაძა.

**— მომდევნო წელიწადია 2008. რას აპირებთ?**

— ჩემი მთავარი მიზანი ისევ ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებაა, მაგრამ არც იტალიის ჩემპიონობა მიმაჩნია მეორეხარისხოვან წარმატებად. „მილანი“ დიდი გუნდია, რომელიც მარად წარმატებებს ეშურება. ამ სეზონში ორივე დიდი ჯილდოს მოპოვებას ვაპირებთ.

**— მაგრამ მიმდინარე სეზონში „მილანი“ სერია A-ში ვერ ყოჩაღობს. რაა მიზეზი?**

— დიახ, ჩემპიონატში საკმაოდ რთული პერიოდი გვაქვს და მართალი გითხრათ, მიზეზი ჯერჯერობით თავადაც ვერ ამოვხსენით. უცნაურია, საერთაშორისო შეჯიბრებებში საუცხოოდ გამოვდივართ, იტალიის პირველობაზე კი მოვლენების საკუთარ კალაპოტში მოთავსება ძალიან გვიჭირს. თუმცა, ეჭვი არ მეპარება, რომ მალე ყველაფერში გავერკვევით და პრობლემაც მოგვარდება.

**— თანდათანობით, თქვენ ბრაზილიის ნაკრებშიც გამოკვეთილი ლიდერი ხდებით. როგორ აუდიხართ ამხელა პასუხისმგებლობას?**

— ყოველი მორიგი მიღწევის შემდეგ, როგორც კლუბში, ასევე ჩემი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში, მეტ და მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობ. საბედნიეროდ, პასუხისმგებლობას შევეჩვიე და სირთულეებისთვის თავის გართმევა ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს.

**— 2014 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი ბრაზილიაში გაიმართება. რას ელით ამ მოვლენისგან?**

— ჩემპიონატი ბრაზილიაში რომ დანიშნეს, დიდი ბედნიერებაა. ერთი სული მაქვს, როდის დადგება ის დღეები. არ ვიცი, შესაძლოა იმხანად მართლა ძალიან „ბებერი“ ვიყო, მაგრამ ამწუთას პირდაპირ გეტყვით, რომ 2014 წლის ჩემპიონატზე თამაშს ვაპირებ. ეს ჩემპიონატი ძალიან მნიშვნელოვანი იქნება როგორც ბრაზილიის განვითარების თვალსაზრისით, ასევე ხალხის გულის გასახარებლად. ქვეყანა უკვე ემზადება. დარწმუნებული გახლავართ, ეს იქნება საუცხოო ჩემპიონატი.

**— და ბოლოს, რა ისწავლეთ 2006 წლის მუნდიალისგან?**

— მარტო ნიჭი გამარჯვებისთვის საკმარისი არ არის! თუ შეჯიბრების მოგება გინდა, კარგად უნდა მოემზადო. ვფიქრობ, მოსამზადებელ პერიოდს უფრო მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ.




შესანიშნავი სამეული:
კრიშტიანუ რონალდუ,
კაკა და ლეო მესი

AFP

# FIFA PLAYER 2007

# რიცხვების გალა



ფიფას სამგზის ლაურეატები — რონალდო და ზიდანი

**გაინტერესებთ,** ფიფას გალა წარმოდგენა ციფრებში როგორ „იმღება“? მაგალითად, რომელ ქვეყანას ჰყავდა ყველაზე მეტი ლაურეატი, ვინ მოიგო ყველაზე მეტი ჯილდო და ამდაგვარები? ინებეთ სტატისტიკა, ფიფას დაჯილდოვებათა 17 წლიანი ისტორია ასეთია:

6 აი, ამდენჯერ იყო გალა წარმოდგენაზე ამა თუ იმ ჯილდოს მისაღებად ზინედინ ზიდანი. ეს შედეგი დღემდე სარეკორდოა. მასზე ერთით ნაკლები ჯილდო აქვს ზიდანის თანაგუნდელს მადრიდის „რეალიდან“, რონალდოს. საინტერესოა, რომ ზიდანიცა და რონალდოც სამ-სამჯერ გახლდნენ ფიფას ვერსიით მსოფლიოს საუკეთესონი და ესეც რეკორდია. ზიდანსა და რონალდოს ჯერ ვერავინ უტოლდება.

3 ეს გახლავთ იმ კონტინენტურ ასოციაციათა რაოდენობა, რომელთაც ფიფას გალაზე ჯერ ნომინანტი არ ჰყოლიათ. ეს სამი ასოციაციაა CONCACAF-ი ანუ ჩრდილო-ცენტრალური ამერიკისა და კარიბეთის რეგიონალური ორგანიზაცია, AFC ანუ აზიის ფეხბურთის კონფედერაცია და OFC ანუ ოკეანიის ანალოგიური გაერთიანება. შესაბამისად, სახელი და დიდება ჯერჯერობით სამ ასოციაციას შორისაა გადანაწილებული: UEFA-ს 33 ნომინანტი ჰყოლია, CONMEBOL-ს ანუ სამხრეთ ამერიკას 16 და CAF-ს ანუ აფრიკას — 3.

52 აი, ამდენ კაცს მიუღია ფიფას გალაზე ჯილდო.

21 აი, ამდენ ქალს მიუღია ფიფას გალაზე ჯილდო.

5 ეს ბირგიტ პრინცის ნომინაციათა რაოდენობაა. გერმანელმა ქალმა პირველ სამ ჯერზე გაიმარჯვა კიდეც და ესეც რეკორდია. ოთხოთხჯერ იყვნენ სამ ფინალისტს შორის ამერიკელი მია ჰემი და ბრაზილიელი მარტა.

14 ეს გალაში მონაწილე ბრაზილიელ ვაჟთა რაოდენობა გახლავთ. ბრაზილიის შემდეგ ყველაზე შთამბეჭდავი შედეგი ჰქონდათ ფრანგებს — 9, ინგლისელებს — 5, იტალიელებსა და გერმანელებს — 4-4, ჰოლანდიელებსა და პორტუგალიელებს — 3-3, ბულგარელებს, არგენტინელებს, ლიბერიელებს — 2-2, ესპანელებს, სერბებს, უკრაინელებს და ხორვატებს — თითო.

7 აი, ამდენ ამერიკელ ქალს მიუღია პრიზი. 6 გერმანელთა რიცხვია, 5 — ბრაზილიელთა, 2 — ნორვეგიელთა, 1 კი შვედების.

1 ეს გახლავთ ჟორჟ ვეა, რომელმაც ჯილდო ისე მიიღო, რომ ფინალურ სამეულში არც ყოფილა. „მილანის“ ლიბერიელი ვარსკვლავი 1995 წელს დაჯილდოვდა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულით, 1996-ში კი მეორეზე გავიდა.

4 ეს გახლავთ გუნდის კარისა და მისი უსაფრთხოების დაცვით დაკავებული ჯილდოს მფლობელების რაოდენობა: ოლივერ კანი, ფაბიო კანავარო, რობერტო კარლოსი და პაოლო მალდინი.

| ფეხბურთელი | კლუბი, ქვეყანა | I ადგილი | II ადგილი | III ადგილი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| **რიკარდო კაკა** | **მილანი, ბრაზილია** | 179 | 42 | 26 | 1047 |
| ლიონელ მესი | ბარსელონა, არგენტინა | 40 | 86 | 46 | 504 |
| კრიშტიანუ რონალდუ | მანჩესტერი, პორტუგალია | 39 | 58 | 57 | 426 |
| დიდიე დროგბა | ჩელსი, კოტ დივუარი | 20 | 25 | 34 | 209 |
| რონალდინიო | ბარსელონა, ბრაზილია | 7 | 17 | 23 | 109 |
| სტივენ ჯერარდი | ლივერპული, ინგლისი | 2 | 16 | 10 | 68 |
| ტიერი ანრი | ბარსელონა, საფრანგეთი | 2 | 11 | 14 | 57 |
| ანდრეა პირლო | მილანი, იტალია | 3 | 8 | 15 | 54 |
| ფაბიო კანავარო | რეალი, იტალია | 5 | 6 | 4 | 47 |
| ჯანლუიჯი ბუფონი | იუვენტუსი, იტალია | 0 | 7 | 10 | 31 |
| ფრანკ რიბერი | ბაიერნი, საფრანგეთი | 1 | 7 | 4 | 30 |
| სამუელ ეტოო | ბარსელონა, კამერუნი | 3 | 3 | 5 | 29 |
| მიროსლავ კლოზე | ბაიერნი, გერმანია | 2 | 2 | 5 | 21 |
| მიკაელ ესიენი | ჩელსი, განა | 0 | 5 | 5 | 20 |
| ხუან რომან რიკელმე | ბოკა ხუნიორსი, არგენტინა | 2 | 1 | 6 | 19 |
| რუუდ ვან ნისტელროი | რეალი, ჰოლანდია | 1 | 3 | 4 | 18 |
| პეტრ ჩეხი | ჩელსი, ჩეხეთი | 1 | 2 | 7 | 18 |
| ფრენკ ლამპარდი | ჩელსი, ინგლისი | 1 | 1 | 3 | 11 |
| ჟუნინიო პერნამბუკანო | ლიონი, ბრაზილია | 0 | 3 | 0 | 9 |
| დეკუ სოუზა | ბარსელონა, პორტუგალია | 0 | 0 | 9 | 9 |
| ჯენარო გატუზო | მილანი, იტალია | 0 | 1 | 5 | 8 |
| პატრიკ ვიეირა | ინტერი, საფრანგეთი | 0 | 2 | 0 | 6 |
| ჯონ ტერი | ჩელსი, ინგლისი | 0 | 1 | 3 | 6 |
| რაფაელ მარკესი | ბარსელონა, მექსიკა | 0 | 1 | 2 | 5 |
| ფერნანდო ტორესი | ლივერპული, ესპანეთი | 0 | 1 | 1 | 4 |
| ალესანდრო ნესტა | მილანი, იტალია | 0 | 0 | 2 | 2 |
| კარლოს ტევესი | მანჩესტერი, არგენტინა | 0 | 0 | 1 | 1 |
| ფილიპ ლამი | ბაიერნი, გერმანია | 0 | 0 | 0 | 0 |
| ლილიან ტურამი | ბარსელონა, საფრანგეთი | 0 | 0 | 0 | 0 |

## ოქროს ბურთის ლაურეატები 1991-2007

| | | | |
|---|---|---|---|
| 1991 | ჟან პიერ პაპენი | მარსელი | საფრანგეთი |
| 1992 | მარკო ვან ბასტენი | მილანი | ჰოლანდია |
| 1993 | რობერტო ბაჯო | იუვენტუსი | იტალია |
| 1994 | ხრისტო სტოიჩკოვი | ბარსელონა | ბულგარეთი |
| 1995 | ჟორჟ ვეა | მილანი | ლიბერია |
| 1996 | მათიას ზამერი | დორტმუნდი | გერმანია |
| 1997 | რონალდო | ინტერი | ბრაზილია |
| 1998 | ზინედინ ზიდანი | იუვენტუსი | საფრანგეთი |
| 1999 | რივალდო | ბარსელონა | ბრაზილია |
| 2000 | ლუიშ ფიგუ | რეალი | პორტუგალია |
| 2001 | მაიკლ ოუენი | ლივერპული | ინგლისი |
| 2002 | რონალდო | ინტერი, რეალი | ბრაზილია |
| 2003 | პაველ ნედვედი | იუვენტუსი | ჩეხეთი |
| 2004 | ანდრეი შევჩენკო | მილანი | უკრაინა |
| 2005 | რონალდინიო | ბარსელონა | ბრაზილია |
| 2006 | ფაბიო კანავარო | რეალი | იტალია |
| 2007 | რიკარდო კაკა | მილანი | ბრაზილია |

## ფიფას ლაურეატები 1991-2007

| | | | |
|---|---|---|---|
| 1991 | ლოთარ მათეუსი (გერმანია) | ჟან-პიერ პაპენი (საფრანგეთი) | გარი ლინეკერი (ინგლისი) |
| 1992 | მარკო ვან ბასტენი (ჰოლანდია) | ხრისტო სტოიჩკოვი (ბულგარეთი) | თომას ჰესლერი (გერმანია) |
| 1993 | რობერტო ბაჯო (იტალია) | რომარიო (ბრაზილია) | დენის ბერკამპი (ჰოლანდია) |
| 1994 | რომარიო (ბრაზილია) | ხრისტო სტოიჩკოვი (ბულგარეთი) | რობერტო ბაჯო (იტალია) |
| 1995 | ჟორჟ ვეა (ლიბერია) | პაოლო მალდინი (იტალია) | იურგენ კლინსმანი (გერმანია) |
| 1996 | რონალდო (ბრაზილია) | ჟორჟ ვეა (ლიბერია) | ალან შირერი (ინგლისი) |
| 1997 | რონალდო (ბრაზილია) | რობერტო კარლოსი (ბრაზილია) | ბერკამპი (ჰოლანდია)/ზიდანი (საფრანგეთი) |
| 1998 | ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი) | რონალდო (ბრაზილია) | დავორ შუკერი (ხორვატია) |
| 1999 | რივალდო (ბრაზილია) | დევიდ ბექემი (ინგლისი) | გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა) |
| 2000 | ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი) | ლუიშ ფიგუ (პორტუგალია) | რივალდო (ბრაზილია) |
| 2001 | ლუიშ ფიგუ (პორტუგალია) | დევიდ ბექემი (ინგლისი) | რაული (ესპანეთი) |
| 2002 | რონალდო (ბრაზილია) | ოლივერ კანი (გერმანია) | ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი) |
| 2003 | ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი) | ტიერი ანრი (საფრანგეთი) | რონალდო (ბრაზილია) |
| 2004 | რონალდინიო (ბრაზილია) | ტიერი ანრი (საფრანგეთი) | ანდრეი შევჩენკო (უკრაინა) |
| 2005 | რონალდინიო (ბრაზილია) | ფრენკ ლამპარდი (ინგლისი) | სამუელ ეტოო (კამერუნი) |
| 2006 | ფაბიო კანავარო (იტალია) | ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი) | რონალდინიო (ბრაზილია) |
| 2007 | რიკარდო კაკა (ბრაზილია) | ლიონელ მესი (არგენტინა) | კრიშტიანუ რონალდუ (ბრაზილია) |

# FIFA PLAYER 2007

| ქვეყანა | მწვრთნელი | I ადგილი | II ადგილი | III ადგილი | კაპიტანი | I ადგილი | II ადგილი | III ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრალია | რობ ბაანი | დროგბა | რონალდუ | მესი | — | — | — | — |
| ავსტრია | იოზეფ ჰიკერსბერგერი | კაკა | რონალდუ | რიკელმე | ანდრეას ივანშიტცი | კაკა | რიბერი | ანრი |
| ავღანეთი | მოჰამედ კარგარი | კაკა | რონალდუ | ანრი | საიედ მაკსუდი | კაკა | რონალდუ | ანრი |
| აზერბაიჯანი | შაჰინ დინიევი | რონალდუ | მესი | კლოზე | ასლან ქერიმოვი | რონალდუ | მესი | კლოზე |
| ალჟირი | რაბა საადანი | კაკა | ბუფონი | რუნი | იაზიდ მანსური | კაკა | მესი | ჩეხი |
| ამერ. ვირჯინ. კ-ები | დერილ როჯერსი | კაკა | ვიეირა | მესი | ტერენს ჯოუნსი | კანავარო | ვიეირა | ბუფონი |
| ამერ. სამოა | დევიდ ბრენდი | რონალდუ | მესი | კაკა | — | — | — | — |
| ანგოლა | ლუიშ გონსალვეში | დროგბა | კაკა | რიკელმე | პაულუ ლოპესი | დროგბა | კაკა | რიკელმე |
| ანდორა | დავიდ როდრიგო | მესი | კაკა | ჯერარდი | ოსკარ სონეხე | კაკა | მესი | დროგბა |
| ანტიგუა და ბარბუდა | დერიკ ედვარდსი | რონალდუ | ანრი | რონალდინიო | ჯორჯ დაბლინი | რონალდუ | რონალდინიო | ანრი |
| არგენტინა | ალფიო ბასილე | — | — | — | ხავიერ ძანეტი | კაკა | ბუფონი | ლამპარდი |
| არუბა | მარსელო მუნიოსი | კაკა | მესი | რონალდუ | — | — | — | — |
| აშშ | ბობ ბრედლი | კაკა | მესი | რონალდუ | კარლოს ბოკანეგრა | კაკა | დროგბა | ჯერარდი |
| ახალი ზელანდია | რიკი ჰერბერტი | ეტოო | მესი | რონალდუ | ტიმ ბრაუნი | კაკა | მესი | პირლო |
| ახალი კალედონია | დიდიე შამბარონი | კაკა | რონალდუ | მესი | პიერ ვაიოკა | კაკა | რონალდუ | მესი |
| ბაჰამა | ნეიდერ დოს სანტოსი | კაკა | მესი | რიბერი | ჰეპი ჰოლი | მესი | კაკა | ესიენი |
| ბარბადოსი | ჯერი სუიტი | კაკა | ანრი | პირლო | ნორმან ფორდი | ჯერარდი | კანავარო | დროგბა |
| ბაჰრეინი | მილან მაკალა | კაკა | რონალდუ | მესი | მოჰამედ სალმინი | კაკა | მესი | რონალდუ |
| ბელიზი | პალმეირო სალასი | კაკა | ვან ნისტელროი | კანავარო | ჰარისონ როჩესი | მესი | კაკა | მარკესი |
| ბელარუსი | ბერნდ შტანგე | კაკა | ჟუნინიო | ნესტა | ალექსანდრ გლები | კაკა | პირლო | გატუზო |
| ბელგია | — | — | — | — | ტიმი სიმონსი | კაკა | მესი | ჯერარდი |
| ბულგარეთი | დიმიტარ პენევი | რონალდუ | ბუფონი | კანავარო | დიმიტარ ბერბატოვი | კაკა | რონალდუ | მესი |
| ბოლივია | ერვინ სანჩესი | რონალდუ | კაკა | დეკუ | რონალდ ბალდესი | რონალდუ | კაკა | დეკუ |
| ბოსნია | ფუად მუზუროვიჩი | კაკა | რონალდუ | დროგბა | ზვეზდან მისიმოვიჩი | კაკა | რონალდუ | დროგბა |
| ბრაზილია | კარლოს დუნგა | პირლო | დროგბა | რონალდუ | ლუსიო | ჯერარდი | მესი | კლოზე |
| ბრიტ. ვირჯინ. კ-ები | ვენსან სამუელი | რონალდუ | კაკა | რონალდინიო | ეივონდეილ უილიამსი | კაკა | რონალდუ | დროგბა |
| ბურუნდი | ადელ ამრუში | კაკა | მესი | რონალდუ | აიმე ნზოხაბონაიო | კაკა | მესი | ბუფონი |
| ბჰუტანი | ჰარი ბასნეტი | რონალდუ | რონალდინიო | მესი | პემა ჩოფელი | რონალდინიო | რონალდუ | რუნი |
| გამბია | ლამინ სარი | დროგბა | კაკა | რუნი | ოსმან კოლი | დროგბა | ესიენი | რონალდუ |
| განა | კლოდ ლე რუა | კაკა | მესი | რონალდუ | სტეფან აპია | მესი | რონალდუ | ესიენი |
| გვატემალა | ერნან გომესი | კაკა | მესი | რონალდუ | ფრედი ტომპსონი | კაკა | მესი | რონალდინიო |
| გერმანია | იოახიმ ლიოვი | კაკა | მესი | რიკელმე | მიხაელ ბალაკი | კაკა | რონალდუ | დროგბა |
| დანია | მორტენ ოლსენი | კაკა | რონალდუ | პირლო | იონ დალ ტომასონი | პირლო | დროგბა | გატუზო |
| დომინიკა | კრისტოფერ ერიკსონი | რონალინიო | რონალდუ | ანრი | კოლინ ბერნარდი | რონალდინიო | კაკა | რონალდუ |
| დომინიკ. რესპუბლიკა | ხუან მოხიკა | კაკა | მესი | რონალდინიო | კელვინ სევერინო | კაკა | მესი | ტევესი |
| ეგვიპტე | ჰასან შეჰატა | კაკა | კლოზე | დროგბა | აჰმედ ჰასანი | კაკა | კლოზე | დროგბა |
| ეკვადორი | ლუის სუარესი | კაკა | ლამპარდი | მესი | ივან ურტადო | რონალდინიო | კაკა | მესი |
| ერითრეა | ჰაილე ტიგაბერი | მესი | კაკა | რონალდუ | შიმანგუ იედნეკაჩევი | კაკა | მესი | დროგბა |
| ესპანეთი | ლუის არაგონესი | კაკა | მესი | დროგბა | იკერ კასილიასი | ვან ნისტელროი | ჯერარდი | კაკა |
| ესტონეთი | ვიგო იენსენი | კაკა | რონალდუ | მესი | მარტ პოომი | კაკა | რონალდუ | რუნი |
| ვენესუელა | რიჩარდ პაესი | კაკა | მესი | რონალდუ | ლუის ვერა | რიკელმე | კაკა | რონალდინიო |
| ვიეტნამი | ალფრედ რიდლი | კაკა | ვან ნისტელროი | რონალდუ | ნგუენ მინ ფუონი | კაკა | რონალდუ | ვან ნისტელროი |
| ზამბია | პატრიკ ფირი | კაკა | რონალდუ | პირლო | კრისტოფერ კატონგო | კაკა | რონალდუ | რუნი |
| თურქეთი | ფატიჰ თერიმი | კაკა | მესი | ანრი | ჰაქან შუქური | კაკა | მესი | რონალდუ |
| იამაიკა | ბორა მილუტინოვიჩი | კაკა | დროგბა | მარკესი | ფაბიან ტეილორი | მესი | კაკა | რონალდუ |
| იაპონია | ივიცა ოსიმი | კაკა | მესი | რონალდუ | იოშიკაცუ კავაგუჩი | კაკა | მესი | პირლო |
| ინგლისი | სტივ მაკლარენი | კაკა | რონალდუ | გატუზო | ჯონ ტერი | დროგბა | მესი | ჩეხი |
| ინდოეთი | რობერტ ჰაუტონი | დროგბა | კაკა | რონალდუ | ბაიჩუნგ ბჰუტია | კაკა | ჯერარდი | მესი |
| იორდანია | ედუარდო ვინგადა | კაკა | მესი | დროგბა | იბრაჰიმ სულეიმანი | მესი | ეტოო | რონალდინიო |
| ირანი | — | — | — | — | ჯავად ნეკუნამი | კაკა | მესი | პირლო |
| ირლანდია | სტივ სტონტონი | მესი | ჯერარდი | კლოზე | რობი კინი | მესი | კაკა | პირლო |
| ისლანდია | ეიოლფურ სვერისონი | კაკა | რონალდუ | მესი | ეიდურ გუდიონსენი | მესი | რონალდუ | კაკა |
| ისრაელი | დრორ კაშტანი | კაკა | დროგბა | მესი | იოსი ბენაიუნი | კაკა | ჯერარდი | რონალდუ |
| იტალია | რობერტო დონადონი | კაკა | რონალდუ | მესი | ფაბიო კანავარო | კაკა | ვან ნისტელროი | მესი |
| კაბო ვერდე | ჟოზე რუი აგუაში | რონალდუ | დროგბა | კაკა | კლაუდიო აგიარი | რონალდუ | კაკა | რონალდინიო |
| კამბოჯა | სკოტ ოდონელი | ანრი | მესი | რონალდუ | პოკ ჩან ტანი | რონალდუ | ჯერარდი | რიკელმე |
| კამერუნი | ოტო პფისტერი | რონალდუ | ანრი | კაკა | რიგობერ სონგი | დროგბა | ესიენი | კაკა |
| კანადა | დეილ მიტჩელი | კაკა | მესი | რონალდინიო | კევინ მაკკენა | კაკა | მესი | რონალდუ |
| კენია | ჯეიკობ მულე | კანავარო | დროგბა | ჩეხი | რობერტ მამბო | მესი | რონალდუ | დროგბა |
| კვიპროსი | ანგელოს ანასტასიადისი | კაკა | მესი | რონალდუ | იანის ოკასი | რონალდუ | მესი | კაკა |
| კოლუმბია | ხორხე ლუის პინტო | კაკა | პირლო | მესი | აგუსტინ ხულიო | რონალდინიო | მესი | ბუფონი |
| კომორის კ-ები | მოჰამედ შამიტე | ანრი | რონალდინიო | დროგბა | იზიდინ ზაინუდინი | დროგბა | ანრი | რონალდინიო |
| კონგოს დრ | ჟოზეფ მულამბა | კანავარო | ჟუნინიო | კაკა | გვედის ბოკესე | მესი | კაკა | ვან ნისტელროი |
| კორეა | ჩო იონგ იუნგი | რონალდუ | რუნი | კაკა | ლი ვონ ი | კაკა | რონალდუ | დროგბა |
| კოსტა რიკა | ერნან მედფორდი | მესი | კაკა | რონალდუ | ხოსე პორასი | მესი | რონალდინიო | რონალდუ |
| კოტ დივუარი | ული შტილიკე | კაკა | ჩეხი | რიბერი | დიდიე დროგბა | კაკა | პირლო | ჩეხი |
| კუბა | რაულ ტრიანა | მესი | კაკა | დეკუ | ენიერ მარკესი | მესი | კაკა | დეკუ |
| კუკის კ-ები | ჯიმი კატოა | რონალდუ | ბუფონი | ანრი | ტონი ჯემისონი | პირლო | დროგბა | ბუფონი |
| ლატვია | ალექსანდრს სტარკოვსი | კაკა | რონალდუ | პირლო | ვიტალის ასტაფიევსი | კაკა | რონალდუ | რონალდინიო |
| ლიბანი | ადნან მექდაში | რონალდუ | კაკა | მესი | ფაისალ ანტარი | კაკა | რონალდუ | მესი |
| ლიბია | ფაუზი ელ-ბენზარტი | კაკა | რონალდინიო | რონალდუ | ტარიკ ელ-ტაიბი | კაკა | მესი | რონალდუ |
| ლიტვა | ალგიმანტას ლიუბინსკასი | კაკა | რონალდუ | რონალდინიო | ტომას დანილიავიჩუსი | კაკა | რიბერი | რუნი |
| ლიხტენშტაინი | ჰანს-პეტერ ცაუგი | დროგბა | რონალდუ | კაკა | დანიელ ჰასლერი | კაკა | კანავარო | რუნი |
| ლუქსემბურგი | გი ელერსი | კაკა | მესი | პირლო | სებასტიან რემი | კაკა | დროგბა | რონალდუ |
| მადაგასკარი | ოგიუსტ პო | კაკა | ბუფონი | პირლო | მამისოა რაზაფინდრაკოტო | კანავარო | დროგბა | რიბერი |
| მავრიკეთი | იოგეშვარ ჩუნდუნანგი | კაკა | დროგბა | რონალდუ | ჰენრი სპერილი | დროგბა | რონალდუ | ანრი |
| მაკაო | კაგაიამა მასანაგა | კაკა | ჩეხი | მესი | ლამ კა კოი | კაკა | კანავარო | ეტოო |
| მაკედონია | სრეჩკო კატანეცი | კაკა | მესი | რონალდუ | გორჩე სედლოსკი | მესი | ეტოო | ტერი |
| მალავი | ედინგტონ ნგონამო | კაკა | მესი | რონალდუ | ელვის კაფოტეკა | კაკა | მესი | რონალდუ |
| მალდივი | იოზეფ იანკეჩი | რონალდუ | ჯერარდი | დროგბა | ასად გხანი | მესი | კაკა | ჯერარდი |

# FIFA WORLD PLAYER 2007

| ქვეყანა | მწვრთნელი | I ადგილი | II ადგილი | III ადგილი | კაპიტანი | I ადგილი | II ადგილი | III ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მალტა | დუშან ფიტცელი | მესი | ესიენი | კაკა | ჯილბერტ აგიუსი | კაკა | რონალდუ | მესი |
| მაროკო | ანრი მიშელი | დროგბა | მესი | კაკა | ტალალ ელ-კარკური | ეტოო | მესი | დროგბა |
| მექსიკა | უგო სანჩესი | კაკა | მესი | დროგბა | რაფაელ მარკესი | მესი | რონალდინიო | დეკუ |
| მოზამბიკი | მარტინშ ნუიში | ეტოო | კაკა | ვან ნისტელროი | ნასერ კარიმო | რონალდუ | მესი | კაკა |
| მიანმარი | მარკოს ფალოპა | კაკა | მესი | ანრი | სოე მიატ მინი | კაკა | მესი | რონალდუ |
| მოლდოვა | იგორ დობროვოლსკი | კაკა | დროგბა | ანრი | რადუ რებეჯა | კაკა | ანრი | დროგბა |
| მონღოლეთი | იშდორჟ ოტგონბაიარი | კაკა | ანრი | მესი | ლუმბენგარავ დონორროვი | კაკა | ანრი | მესი |
| ნიგერი | ჰამეი ამადუ | რონალდუ | რონალდინიო | დროგბა | სულეიმან საკო | დროგბა | რონალდინიო | ანრი |
| ნიგერია | ბერტი ფოგტსი | დროგბა | რიბერი | მესი | ნვანკვო კანუ | რონალდუ | მესი | კაკა |
| ნიკარაგუა | კარლოს დეტორო | კაკა | რონალდინიო | ვან ნისტელროი | დენის ესპინოზა | მესი | კაკა | ჯერარდი |
| ნორვეგია | აგე ჰარეიდე | რონალდუ | მესი | კაკა | მარტინ ანდრესენი | მესი | რონალდუ | კაკა |
| პაკისტანი | მოჰუდინ ახტარი | რონალდინიო | რონალდუ | დროგბა | მოჰამედ ესა | კაკა | მესი | დროგბა |
| პალესტინა | ნაელ ალესვირკი | კაკა | მესი | რონალდინიო | საებ ჯენჯეა | მესი | კაკა | რონალდინიო |
| პაპუა ახ. გვინეა | — | — | — | — | რიჩარდ დანიელი | კაკა | ჯერარდი | რონალდუ |
| პარაგვაი | ხერარდო მარტინო | მესი | რიბერი | რიკელმე | დენის კანისა | მესი | რონალდუ | კაკა |
| პერუ | ხოსე კალდერონი | რიკელმე | მესი | კაკა | კლაუდიო პიზარო | მესი | რონალდინიო | კაკა |
| პოლონეთი | ლეო ბეენჰაკერი | რონალდუ | ანრი | რუნი | მაცეი ჟურავსკი | კაკა | რონალდუ | მესი |
| პორტუგალია | ლუიშ ფელიპე სკოლარი | კაკა | მესი | დროგბა | ნუნუ გომეში | კაკა | მესი | დროგბა |
| პუერტო რიკო | გარაბეტ ავედისიანი | მესი | რონალდუ | კაკა | ხავიერ ფიოლი | კაკა | მესი | რონალდუ |
| რუმინეთი | ვიქტორ პიცურკა | მესი | კაკა | რონალდუ | კრისტიან კივუ | მესი | კაკა | რონალდუ |
| რუსეთი | გუს ჰიდინკი | კაკა | ანრი | მესი | ანდრეი არშავინი | კაკა | რონალდინიო | ანრი |
| საამიროები | ბრუნო მეტსიუ | რონალდუ | კაკა | დროგბა | ჰუმაიდ ჰუსეინი | კაკა | რიკელმე | დროგბა |
| საბერძნეთი | ოტო რეჰაგელი | კლოზე | მესი | კაკა | ანტონის ნიკოპოლიდისი | კაკა | დროგბა | რონალდუ |
| სალვადორი | კარლოს დელოს კობოსი | კაკა | მესი | დეკუ | რონალდ სერიტოსი | კაკა | მესი | დეკუ |
| სამხ. აფრიკა | კარლოს ალბერტო პარეირა | კაკა | რონალდინიო | რონალდუ | აარონ მოკოენა | რონალდუ | კაკა | კანავარო |
| სან მარინო | ჯამპაოლო მაცა | კაკა | გატუზო | ჯერარდი | ენდი სელვა | კაკა | პირლო | მესი |
| სანტა ლუსია | ტრევორ ანდერსონი | კლოზე | ჯერარდი | კაკა | ვერნუს ებოტი | მესი | მარკესი | კანავარო |
| სან ტომე და პრინსიპი | ლიმა დენილსონი | დროგბა | რონალდუ | დეკუ | ალონსო დაშ ვედეში | კაკა | დროგბა | დეკუ |
| საუდის არაბეთი | ელიო დოს ანჯოსი | კაკა | პირლო | ბუფონი | იასერ ალ-ქახთანი | კაკა | რონალდუ | მესი |
| საფრანგეთი | რაიმონ დომენეკი | დროგბა | ეტოო | მესი | პატრიკ ვიეირა | კაკა | რონალდუ | მესი |
| **საქართველო** | **კლაუს ტოპმიოლერი** | **კაკა** | **მესი** | **რონალდუ** | **კახა კალაძე** | **კაკა** | **მესი** | **რონალდინიო** |
| სეიშელის კ-ები | რაულ შუნგუ | კაკა | მესი | რონალდუ | დენის ბარბე | კაკა | მესი | რონალდუ |
| სენეგალი | ჰენრი კასპერჩაკი | კაკა | ანრი | დროგბა | ელ-ჰაჯი დიუფი | კაკა | რონალდუ | დროგბა |
| სენტ კიტსი და ნევისი | ლეონარდ ტეილორი | კაკა | რონალდინიო | დროგბა | ჯევონ ფრენსისი | კაკა | რონალდუ | რონალდინიო |
| სერბეთი | ხავიერ კლემენტე | მესი | ტორესი | ეტოო | დეიან სტანკოვიჩი | კაკა | პირლო | რონალდუ |
| სვაზილენდი | გცინა დლამინი | კაკა | დროგბა | მესი | ვაჰდილე მაზიბუკო | კაკა | რონალდუ | დროგბა |
| სინგაპური | რადოიკო აბრამოვიჩი | რონალდუ | კაკა | მესი | აიდე ისკანდარი | კაკა | მესი | რუნი |
| სირია | ფაჯერ იბრაჰიმი | მესი | რონალდინიო | რონალდუ | მაჰერ ელ-საიედი | მესი | რონალდინიო | რონალდუ |
| სლოვაკეთი | იან კოციანი | კაკა | დროგბა | ჩეხი | მარეკ მინტალი | კაკა | რონალდუ | ჩეხი |
| სლოვენია | მატიაჟ კეკი | კაკა | მესი | რონალდინიო | კლემენ ლავრიჩი | კაკა | რონალდუ | დროგბა |
| სომალი | აბდი ფარახ ალი | კაკა | დროგბა | ბუფონი | ომარ აბდულკადირი | კაკა | რიბერი | ესიენი |
| სომხეთი | ვარდან მინასიანი | რონალდუ | კაკა | მესი | სარქის ოვსეპიანი | რონალდუ | კაკა | მესი |
| სუდანი | აჰმედ ელ-ფაკი | კაკა | მესი | რონალდუ | ჰაიტამ მუსტაფა | კაკა | რონალდუ | მესი |
| სურინამი | კენეტ იალენსი | კაკა | მესი | ბუფონი | ფერჯილ აფატი | კაკა | მესი | რონალდუ |
| ტაივანი | სინ ან ჩენი | კაკა | რონალდუ | მესი | იუნ ჩუენ ჩენი | დროგბა | რონალდინიო | ანრი |
| ტაილანდი | ჩანვიტ პალაჯივინი | კაკა | მესი | რონალდინიო | ტალან სრიპანი | კაკა | მესი | რონალდინიო |
| ტაიტი | ლიონელ შარბონიე | კაკა | მესი | რონალდუ | ტევა ზავერონი | კაკა | მესი | რონალდუ |
| ტაჯიკეთი | მუხამაჯონ ხაბიბულოევი | რონალდუ | რიბერი | კაკა | აკმალ ხოლმატოვი | რუნი | რონალდუ | რონალდინიო |
| ტრინიდადი და ტობაგო | ვიმ რიისბერგენი | კაკა | მესი | ტერი | ტრენტ ნოელი | კაკა | მესი | ესიენი |
| ტუნისი | როჟე ლემერი | რონალდუ | ესიენი | ბუფონი | ჟავჰარ მნარი | კაკა | დროგბა | ესიენი |
| ტურქსი და კაიკოსი | მეთიუ გრინი | დროგბა | ჯერარდი | რონალდუ | გევინ გლინტონი | რუნი | კაკა | პირლო |
| უგანდა | ლასლო ჩაბა | კაკა | დროგბა | კლოზე | იბრაჰიმ სეკაგია | კაკა | დროგბა | ეტოო |
| უელსი | ჯონ ტოშაკი | ჩეხი | კაკა | მესი | — | — | — | — |
| უზბეკეთი | რაუფ ინილეევი | კაკა | ბუფონი | რონალდუ | მაქსიმ შაცკიხი | ლამპარდი | ჟუნინიო | ეტოო |
| უკრაინა | ოლეგ ბლოხინი | კაკა | ტერი | რონალდინიო | ანდრეი შევჩენკო | კაკა | ბუფონი | რონალდუ |
| უნგრეთი | პეტერ ვარჰიდი | კაკა | პირლო | რონალდუ | ზოლტან გერა | კაკა | რონალდუ | მესი |
| ურუგვაი | ოსკარ ტაბარესი | კაკა | მესი | რონალდუ | დიეგო ლუგანო | რონალდუ | დროგბა | ჯერარდი |
| ფარერების კ-ები | მარტინ ოლსენი | რონალდუ | მესი | კაკა | იაკუპ მიკელსენი | რონალდუ | კაკა | რიბერი |
| ფილიპინები | ხოსე არისტონ კასლიბი | კაკა | კანავარო | რონალდინიო | ჯერომ ორკულო | კაკა | კანავარო | რონალდინიო |
| ფინეთი | როი ჰოჯსონი | კაკა | ჯერარდი | რონალდუ | სემი ჰიიპია | კაკა | ჯერარდი | ნესტა |
| ფიჯი | კარლოს ბუზეტი | რონალდუ | კაკა | პირლო | პიტა რაბო | კანავარო | ჯერარდი | ანრი |
| ქუვეითი | სალეჰ სალეჰი | მესი | კანავარო | რონალდინიო | ნოჰაიერ ალ-შამარი | მესი | რონალდინიო | ბუფონი |
| ყაზახეთი | არნო პიიპერსი | კაკა | რონალდუ | მესი | ნურბოლ ჟუმასკალიევი | კაკა | მესი | ჯერარდი |
| ყატარი | ხორხე ფოსატი | კაკა | მესი | ლამპარდი | — | — | — | — |
| ყირგიზეთი | ნემატ ზაკიროვი | კაკა | რონალდუ | ჯერარდი | ვიაჩესლავ ამინი | რიბერი | ესიენი | ლამპარდი |
| შვედეთი | ლარს ლაგერბეკი | კაკა | რონალდუ | მესი | ფრედერიკ ლიუნგბერგი | მესი | კაკა | დროგბა |
| შვეიცარია | იაკობ კუნი | კაკა | მესი | რონალდუ | ლუდოვიკ მანინი | კაკა | მესი | რონალდუ |
| შოტლანდია | ალექს მაკლიში | კაკა | დროგბა | მესი | ბარი ფერგიუსონი | რონალდუ | მესი | ტერი |
| შრი-ლანკა | იანგ იუნგი | კაკა | დროგბა | მესი | მადურანგა ვეერასინგჰე | დროგბა | ანრი | ჩეხი |
| ჩადი | ოკალა ნატოლტიგა | კაკა | მესი | ტორესი | ნერემბაიე ტეინკორი | რონალდინიო | მესი | კაკა |
| ჩერნიგორია | ზორან ფილიპოვიჩი | კაკა | რონალდუ | ბუფონი | მირკო ვუჩინიჩი | კაკა | პირლო | გატუზო |
| ჩეხეთი | კარელ ბრიუკნერი | კაკა | დროგბა | პირლო | ტომაშ როსიცკი | კაკა | ჯერარდი | რონალდინიო |
| ჩილე | ივო ხატიბოვიჩი | მეი | რონალდუ | პირლო | მარსელო სალასი | კაკა | რიბერი | მესი |
| ჩინეთი | ვლადიმირ პეტროვიჩი | კაკა | მესი | დროგბა | ლი ვეიფენი | კაკა | ჯერარდი | ეტოო |
| ჩრდ. ირლანდია | ნაიჯელ უორზინგტონი | კაკა | ჯერარდი | დროგბა | აარონ ჰიუზი | კაკა | მესი | გატუზო |
| ხორვატია | სლავენ ბილიჩი | კაკა | რონალდუ | მესი | ნიკო კოვაჩი | კაკა | რონალდუ | მესი |
| ჯიბუტი | მოჰამედ ომარ ალტი | დროგბა | ჯერარდი | მესი | მიად შარმაკე | მესი | დროგბა | პირლო |
| ჰაიტი | ლუის არმელიო გარსია | კაკა | მესი | რონალდუ | — | — | — | — |
| ჰოლანდია | მარკო ვან ბასტენი | მესი | კაკა | დროგბა | ედვინ ვან დერ სარი | რონალდუ | კაკა | ჯერარდი |
| ჰონდურასი | რეინალდო რივერა | მესი | კაკა | რონალდუ | ამადო გევარა | კაკა | მესი | რონალდუ |
| ჰონკონგი | ლაი სუნ ჩენი | რონალდუ | კაკა | მესი | ჩენ საი ჰო | რონალდუ | მესი | კაკა |

# ელ კლასიკო: გამორჩეული, მაგრამ არა გადამწყვეტი

| 13022 | ფიორენტინა-ბოლეხლავი | 1.90 | 1.60 |
| 13024 | ჰამბურგი-ბაზელი | 1.70 | 1.90 |
| 13026 | რენი-დინამო ზ | 1.70 | 1.90 |
| 13027 | ალიკანტე-რეალი | 1.90 | 1.70 |
| 13028 | ესპანიოლი-დეპორტივო | 1.70 | 1.90 |
| 13029 | რეალ უნიონი-ვალენსია | 1.90 | 1.70 |
| 13030 | ტორინო-რომა | 1.70 | 1.90 |
| 13031 | რეჯინა-ინტერი | 1.70 | 1.90 |
| 13032 | ლაციო-ნაპოლი | 1.70 | 1.90 |
| 13033 | უდინეზე-პალერმო | 1.70 | 1.90 |
| 13034 | მილანი-კატანია | 1.70 | 1.90 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | ციურიხი-ლევერკუზენი | 2.00 | 1.80 |
| 14002 | ტულუზი-სპარტაკი მ | 1.85 | 1.95 |
| 14008 | პაოკი თ ა-ოლბორგი | 1.45 | 2.40 |
| 14009 | პანიონიოსი-ბორდო | 1.45 | 2.40 |
| 14012 | ალკმაარი-ევერტონი | 1.45 | 2.40 |
| 14013 | ლარისა-ნიურნბერგი | 2.40 | 1.45 |
| 14014 | ატლეტიკო-პანათინაიკოსი | 1.45 | 2.40 |
| 14015 | აბერდინი-კოპენჰაგენი | 1.90 | 1.90 |
| 14016 | აეკ-ვილიარეალი | 1.80 | 2.00 |
| 14020 | ჩელსი-ლივერპული | 1.70 | 2.20 |
| 14024 | ჰამბურგი-ბაზელი | 1.30 | 2.50 |
| 14026 | რენი-დინამო ზ | 1.70 | 2.20 |
| 14027 | ალიკანტე-რეალი | 2.60 | 1.20 |
| 14028 | ესპანიოლი-დეპორტივო | 1.65 | 2.30 |
| 14029 | რეალ უნიონი-ვალენსია | 2.90 | 1.08 |
| 14030 | ტორინო-რომა | 2.20 | 1.70 |
| 14031 | რეჯინა-ინტერი | 2.60 | 1.20 |
| 14032 | ლაციო-ნაპოლი | 1.70 | 2.20 |
| 14033 | უდინეზე-პალერმო | 1.75 | 2.10 |
| 14034 | მილანი-კატანია | 1.20 | 2.60 |

## გოლი: წყვილი-1 თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | ციურიხი-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17002 | ტულუზი-სპარტაკი მ | 1.85 | 1.95 |
| 17003 | ბრაგა-ცრვენა ზვეზდა | 1.85 | 1.95 |
| 17005 | ბაიერნი-არისი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | პაოკი თ ა-ოლბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | პანიონიოსი-ბორდო | 1.85 | 1.95 |
| 17010 | გალათასარაი-აუსტრია | 1.85 | 1.95 |
| 17012 | ალკმაარი-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 17013 | ლარისა-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17014 | ატლეტიკო-პანათინაიკოსი | 1.85 | 1.95 |
| 17015 | აბერდინი-კოპენჰაგენი | 1.85 | 1.95 |
| 17016 | აეკ-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 17020 | ჩელსი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17022 | ფიორენტინა-ბოლეხლავი | 1.85 | 1.95 |
| 17024 | ჰამბურგი-ბაზელი | 1.85 | 1.95 |
| 17026 | რენი-დინამო ზ | 1.85 | 1.95 |
| 17027 | ალიკანტე-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17028 | ესპანიოლი-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 17029 | რეალ უნიონი-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17030 | ტორინო-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17031 | რეჯინა-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17032 | ლაციო-ნაპოლი | 1.85 | 1.95 |
| 17033 | უდინეზე-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 17034 | მილანი-კატანია | 1.85 | 1.95 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | ციურიხი-ლევერკუზენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15002 | ტულუზი-სპარტაკი მ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | პაოკი თ ა-ოლბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | პანიონიოსი-ბორდო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15012 | ალკმაარი-ევერტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15013 | ლარისა-ნიურნბერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15014 | ატლეტიკო-პანათინაიკოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15015 | აბერდინი-კოპენჰაგენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15016 | აეკ-ვილიარეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15020 | ჩელსი-ლივერპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15024 | ჰამბურგი-ბაზელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15026 | რენი-დინამო ზ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15027 | ალიკანტე-რეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15028 | ესპანიოლი-დეპორტივო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15029 | რეალ უნიონი-ვალენსია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15030 | ტორინო-რომა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15031 | რეჯინა-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15032 | ლაციო-ნაპოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15033 | უდინეზე-პალერმო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15034 | მილანი-კატანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | ციურიხი-ლევერკუზენი | 2.05 | 1.65 |
| 16002 | ტულუზი-სპარტაკი მ | 1.75 | 1.85 |
| 16008 | პაოკი თ ა-ოლბორგი | 1.24 | 3.60 |
| 16009 | პანიონიოსი-ბორდო | 1.24 | 3.60 |
| 16012 | ალკმაარი-ევერტონი | 1.23 | 3.60 |
| 16013 | ლარისა-ნიურნბერგი | 3.00 | 1.30 |
| 16014 | ატლეტიკო-პანათინაიკოსი | 1.23 | 3.60 |
| 16015 | აბერდინი-კოპენჰაგენი | 1.80 | 1.85 |
| 16016 | აეკ-ვილიარეალი | 1.55 | 2.20 |
| 16020 | ჩელსი-ლივერპული | 1.34 | 2.80 |
| 16024 | ჰამბურგი-ბაზელი | 1.14 | 4.70 |
| 16026 | რენი-დინამო ზ | 1.38 | 2.65 |
| 16027 | ალიკანტე-რეალი | 5.70 | 1.11 |
| 16028 | ესპანიოლი-დეპორტივო | 1.30 | 3.00 |
| 16029 | რეალ უნიონი-ვალენსია | 5.70 | 1.11 |
| 16030 | ტორინო-რომა | 2.45 | 1.40 |
| 16031 | რეჯინა-ინტერი | 4.20 | 1.15 |
| 16032 | ლაციო-ნაპოლი | 1.40 | 2.55 |
| 16033 | უდინეზე-პალერმო | 1.52 | 2.20 |
| 16034 | მილანი-კატანია | 1.11 | 5.70 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვადა ვადას აღარ იძლევა

## დოპინგის მიმღები უმკაცრესად დაისჯება

მადრიდში დასრულდა მესამე მსოფლიო კონფერენცია თემაზე „დოპინგი სპორტში", რომელიც ორგანიზებული იყო მსოფლიოს ანტიდოპინგური სააგენტოს WADA-ს და ესპანეთის სპორტის უმაღლესი საბჭოს მიერ. კონფერენციაში უპრეცედენტოდ ბევრი, 1100 ექსპერტი მონაწილეობდა, რომელთა შორის იყო WADA-ს და საქართველოს დოპინგ საწინააღმდეგო ეროვნული სააგენტოს ერთ-ერთი დამფუძნებელი თამაზ თევზაძე. თამაზ თევზაძე იმავდროულად საქართველოს ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტიცაა.

მადრიდში აირჩიეს WADA-ს ახალი პრეზიდენტი და თავიანთ ნესდებაში ცვლილებებიც შეიტანეს, რომელიც, ცხადია, ჩვენთვისაც ძალიან საინტერესოა და განხილული ამბების მოსაყოლად **თამაზ თევზაძეს** გავესაუბრეთ




— თავიდან ვიტყვით, რომ WADA 1998 წელს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მაშინდელი პრეზიდენტის ხუან ანტონიო სამარანჩის ინიციატივით დაარსდა. მაშინ ტურ დე ფრანსზე პირველად მოხდა მასშტაბური დოპინგ-სკანდალი და დოპინგის საწინააღმდეგო ეფექტური ორგანიზაციის შექმნა აუცილებელი გახდა. WADA-ს საკმაოდ სოლიდური ბიუჯეტი აქვს, მისი დაფინანსების ნახევარს საკუთარ თავზე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი იღებს, დანარჩენი კი WADA-ს წევრ ქვეყნებზე ნაწილდება. WADA-ში გაწევრიანებულია ხუთივე კონტინენტის თითქმის ყველა ქვეყანა, ბიუჯეტი კი ახლა 25 მილიონ ევროს შეადგენს. WADA-ს აქამდე პრეზიდენტობდა კანადელი დიკ პაუნდი, ვისაც სამარანჩის დროს სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტის პოსტი ეკავა. პაუნდი მესამე ვადით თავკაცობდა WADA-ს, მაგრამ ამ კონფერენციაზე ახალი პრეზიდენტი აირჩიეს, რომელიც თავისი მოვალეობის შესრულებას ახალი წლიდან შეუდგება.

— ვინ არის ეს ახალი პრეზიდენტი?

— დიკ პაუნდს ორი ოპონენტი ჰყავდა — ევროსაბჭოს კანდიდატი, საფრანგეთის სპორტის ყოფილი მინისტრი ჟან-ფრანსუა ლამური და ავსტრალიის ყოფილი ფინანსთა მინისტრი, ახლა კი სამხრეთ უელსის შტატის გუბერნატორი ჯონ ფაჰეი. ხმის უფლება WADA-ს 18 დამფუძნებელს ჰქონდა. როდესაც მიზეზთა გამო ჟან-ფრანსუა ლამურმა საკუთარი კანდიდატურა მოხსნა, დამფუძნებელთაგან ექვსმა ევროპელმა კონფერენციაში მონაწილეობისგან თავი შეიკავა, დანარჩენებმა კი ჯონ ფაჰეის მისცეს ხმა და ახალი პრეზიდენტი აირჩიეს. არჩევნებამდე კი ევროსაბჭოს დოპინგსაწინააღმდეგო კონვენციის მონიტორინგის ჯგუფის წლიური სხდომა გაიმართა, რომლის წევრი ვარ და წესდებაში მნიშვნელოვანი ცვლილება შევიტანეთ.

— კონკრეტულად?

— მედიცინა ისე განვითარდა, რომ გაჩნდა ახალი პრეპარატები, რომლებიც დოპინგის კვალს არ ტოვებენ, ან მის აღმოჩენას უშლიან ხელს. ჩამოიწერა ამ პრეპარატების სია, რომელიც მომავალი წლიდან აიკრძალება სპორტსმენთათვის. ამასთან ერთად, გამკაცრდა სანქციები, თუ აქამდე მხილებული სპორტსმენი ერთი წლით ისჯებოდა, ახლა დისკვალიფიკაცია ორიდან ოთხ წლამდეა, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი პირდაპირ სამუდამო დისკვალიფიკაციით ისჯება. გაიზარდა ფინანსური სანქციებიც. ამასთან ერთად, პეკინის ოლიმპიადის წინ სპორტსმენებს დოპინგზე მთლიანად ჩაუტარდებათ 4005 ტესტი, რაც 25 პროცენტით მეტია, ვიდრე წინა წლებში იყო. თანაც ტესტები ჩატარდება ოლიმპიამდეც, არასაშეჯიბრო დროს.

— ეს რას ნიშნავს?

— ნებისმიერ დღეს შეიძლება ჩამოვიდეს WADA-ს ექსპერტი, არ გააფრთხილოს არავინ, მიადგეს ნებისმიერ სპორტსმენს და დოპინგ-ტესტი ჩაუტაროს. დოპინგ-ტესტზე ჩავარდნილ სპორტსმენს კი მერწმუნეთ, ცუდი მომავალი ელის. ეს იმიტომ კეთდება, რომ სპორტსმენი მუდმივ კონტროლში იყოს.

— ეს რომ არ მოხდეს, აუცილებელია ცვლილებების საქმის კურსში სპორტსმენები და მათი ხელმძღვანელებიც იყვნენ ინფორმირებულნი...

— ასეც იქნება. ჩვენი ეროვნული ანტისადოპინგო კომისია, რომლის თავმჯდომარე ცნობილი სპორტული ექიმი პავლე კასრაძეა, და სპორტული მედიცინის ასოციაციის თავმჯდომარე ზურაბ კახაბრიშვილი საამისოდ ყველაფერს გააკეთებენ. ეს არის ძალიან მასშტაბური და გლობალური პროექტი. ამასთან ერთად სანქციები ეკისრება WADA-ს წევრ ქვეყნებსაც, ამიტომ ჩვენი სახელმწიფოც შეუერთდა ამ ცვლილებებს და ყველაფერი მთავრობის დონეზე გადაწყდება.. ჩვენმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ პარლამენტში უკვე შეიტანა WADA-ს წესდებასთან მიერთების დადგენილება და ნაახლოწლევს პარლამენტი ამ ფაქტის რატიფიცირებას მოახდენს.

**ბაჩო სვანიძე**

## მსოფლიო კონფერენციამ განიხილა და შემდეგი ცვლილებები შეიტანა მსოფლიოს ანტიდოპინგურ კოდექსში:

1. აღიარებს იმ ფაქტს, რომ მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსის მხარდაჭერა, მიღება, განხორციელება და ამ დოკუმენტის უწყვეტი შეფასება და გადამოწმება სპორტში დოპინგის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლის ფუნდამენტურ და არსებით ეტაპებს წარმოადგენს;

2. კმაყოფილებას გამოთქვამს იმ გარემოების მიმართ, რომ მსოფლიოს მასშტაბით განხორციელებული ღია, გამჭვირვალე საკონსულტაციო პროცესების შედეგად WADA-ს დამფუძნებელმა საბჭომ დაამტკიცა მსოფლიოს ანტიდოპინგური კოდექსის განახლებული ვარიანტი (2007 წელი).

**მსოფლიოს ანტიდოპინგური სააგენტოს (WADA) მიმართ:**

3. დადებით შეფასებას აძლევს WADA-ს, მის მიერ ჩატარებულ ბრწყინვალე სამუშაოს გამო, კვლავაც ადასტურებს თავის სრულ მხარდაჭერას სააგენტოს მიმართ და ყველა შესაბამის მხარეს მოუწოდებს ამ მხარდაჭერის განმტკიცებისკენ;

4. იწონებს ოლიმპიური მოძრაობისა და მთავრობების მუდმივ მზადყოფნას თანაბარი დაფინანსების ვალდებულების შესასრულებლად (თითოეული 50%) WADA-ს მიერ დამტკიცებული წლიური ძირითადი ბიუჯეტის შევსების მიზნით, რაც ხორციელდება მათ მიერ განსაზღვრული მეთოდის საფუძველზე.

**სპორტში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის სათანადო კოორდინაციის, კონსოლიდაციისა და გაძლიერების უზრუნველყოფის მიზნით:**

5. აღიარებს დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მსოფლიოს მასშტაბით ყველა ქვეყანაში და სპორტის ყველა სახეობაში, პროფესიონალთა და ლიგების ჩათვლით, საქმიანობის უფრო ეფექტური კოორდინაციის დაუყოვნებელი განხორციელების აუცილებლობას და ამ თვალსაზრისით მოუწოდებს ყველა შესაბამის მხარეს ანტიდოპინგური საქმიანობისა და პროგრამების შემდგომი გაძლიერებისა და გაუმჯობესებისაკენ.

**ოლიმპიური/სპორტული მოძრაობის და სხვა დაინტერესებულ მხარეთა მიმართ:**

6. მოუწოდებს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, საერთაშორისო პარა-ოლიმპიურ კომიტეტს, სპორტის საერთაშორისო ფედერაციებს, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს, ეროვნულ პარა-ოლიმპიურ კომიტეტებს, ადგილობრივ და რეგიონულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს, შეჯიბრებების ძირითად ორგანიზატორებს და სხვა მხარეებს 2009 წლის 1 იანვრისთვის განახორციელონ 2007 წლის კოდექსი და აწარმოონ საქმიანობები ამ დოკუმენტთან სრულ შესაბამისობაში.

**მთავრობების მიმართ:**

7. მიესალმება ხელისუფალთა მიერ ნაკისრ ვალდებულებას, გაზარდოს თანამშრომლობა მთავრობათაშორის, რეგიონულ და გლობალურ დონეზე, განამტკიცოს ყველა საზოგადოებრივი ხელმძღვანელების მონაწილეობა WADA-ს საქმიანობების ფარგლებში და

8. მოუწოდებს ყველა მთავრობას, არაუგვიანეს 2009 წლის 1 იანვრისა, გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები UNESCO-ს სპორტში დოპინგის შესახებსაერთაშორისო კონვენციის პრინციპების განსახორციელებლად.

*მადრიდი, ესპანეთი*

*2007 წლის 17 ნოემბერი*



შოთა ხაბარელი

## თეორია და პრაქტიკა ერთ წიგნში გაერთიანდა

**წიგნის თაროს** შეემატა შოთა ხაბარელისა და გურამ რატიშვილის „აღმზრდელობითი მუშაობა ძიუდოში", რომელიც მეთოდური სახელმძღვანელოა.

ოლიმპიური ჩემპიონი შოთა ხაბარელი თავის დროზე უებრო ძიუდოისტი იყო, ახლა კი ასეთივე მწვრთნელია. ამის დასტურია ევროპის საუკეთესო მწვრთნელად ზედიზედ ორჯერ აღიარება.

შოთა ხაბარელი ძიუდოს პრაქტიკოსი სპეციალისტია, თეორიაში კი ერთ-ერთი აღიარებული გახლავთ პროფესორი გურამ რატიშვილი, რომელიც 90 სამეცნიერო შრომისა და მონოგრაფიის ავტორია. მისი აღიარების ერთ-ერთი დასტური ისიც გახლდათ, რომ წლების განმავლობაში იყო საბჭოთა კავშირის ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები გუნდების კომპლექსური სამეცნიერო ჯგუფის წევრი და მისი ხელმძღვანელიც. ამიტომაც, ზოგადად ჭიდაობის თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი სპეციალისტების ერთობლივი ნაშრომი, რომელიც პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ჯემალ ძაგნიძის რედაქტორობით დაისტამბა, საინტერესო უნდა იყოს ძიუდოს სპეციალიზაციის სტუდენტებისთვის, კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტის მსმენელებისთვის, სპორტსმენებისა და მწვრთნელებისთვის, რომელთათვისაც ეს წიგნია განკუთვნილი.

ამ ნაშრომში საუბარია კოლეგანის ძიუდოს ფილოსოფიურ და აღმზრდელობით საფუძვლებზე, აღმზრდელობითი მუშაობის თანამედროვე მიმართულებებსა და ამოცანებზე, ძიუდოს თავისებურებებსა და მასთან დაკავშირებულ აღმზრდელობითი მუშაობის დამატებით ამოცანებზე, ფიზაღზრდისა და ზოგადად აღზრდის მეთოდებზე.

სამწუხაროდ, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ჭიდაობისა და ძალოსნობის კათედრაზე შესრულებული ეს ნაშრომი ამ უმაღლესი სასწავლებლისთვის ბოლო წიგნი აღმოჩნდა, რომელიც დაისტამბა, რადგან დღის სინათლეზე გამოსვლამდე სპორტის სპეციალისტთა ქართული სამჭედლო წლეულს დაიხურა.

**ავთანდილ ფყვიშელი**

# არ წახვიდე, კრის!

## ევროპისაკენ დაძრულ ლათამს მთელი ავსტრალია გაეტირა



**კრის ლათამი** კარიერას ევროპაში, კერძოდ ინგლისურ კლუბ „უორჩესტერ უორიორზში" გააგრძელებს. 32 წლის ავსტრალიელმა ვარსკვლავმა როგორც იქნა ადგილობრივი რაგბის კავშირისგან „ქვეყნიდან გასვლის" თანხმობა მიიღო. ვეტერანი ოზი ახალ გუნდს 2008 წლის სამი ერის პირველობის ჩამთავრებისთანავე შეუერთდება სამწლიანი კონტრაქტით.

ავსტრალიის რაგბის კავშირი ყველანაირად ცდილობდა, რომ ლათამი მინიმუმ ორი წლით სამშობლოში დაეტოვებინა. „იმედი გვქონდა, რომ კრისი დარჩებოდა და თანამემამულეთა თვალწინ ითამაშებდა. განსაკუთრებული წინადადებითაც მივმართეთ, მაგრამ ის მაინც აპირებს ევროპაში გამგზავრებას. მეტი რა დაგვრჩენია, მის გადაწყვეტილებას პატივი უნდა ვცეთ. კრის ლათამი ლეგენდარული ფიგურაა. მან უდიდესი წვლილი შეიტანა ავსტრალიული რაგბის განვითარებაში და სანაკრებო დონეზე ჯერ კიდევ გვეიმედება მისი" — გულდაწყვეტით განაცხადა ავსტრალიის რაგბის კავშირის გენერალურმა დირექტორმა პატ ჰოვარდმა.

თავის მხრივ, საქებარი სიტყვები არ დაიშურა ლათამისა და „ქვინსლენდ რედზის" მწვრთნელმა ეილ მუნეიმ — „მთელი ათი წელია, კრისის თამაშით მოხიბლულები ვართ. მე მაინც მეგონა, რომ დარჩებოდა და წაადგებოდა ჩვენს გუნდს, მაგრამ მისი არჩევანი ჩვენთვის კანონია."

კრის ლათამს ახალ კლუბში სხვა სამხრეთელი სახელიან მორაგბეებიც დაუხვდებიან, ოლბლექსელები, რიკო გირი და სემი ტუიტუფოუ უკვე „უორიორზის" რიგებში ირიცხებიან.

ლათამი კი შეუერთდება იმ ვარსკვლავთა მრავალრიცხოვან მარაქას, რომლებმაც ასაკის მოკაკუნებასთან ერთად მიატოვეს სამხრეთული რაგბი და ბებერ კონტინენტზე გადაბარგდნენ ბედისა და ცოტაოდენი ფულის საძიებლად. მათ შორის გამორჩეულების დასახელებაც უპრიანი იქნებოდა საერთო სურათის შესაქმნელად: ჯორჯ გრეგანი, პერსი მონტგომერი, კარლ ჰეიმანი, კრის ჯეკი, სტივ ლარქემი, ჯონ სმიტი, ვიქტორ მეტფილდი, ენდი მერთენსი, დაგ ჰაულეტი...

**ზურაბ მიგრიაული**

# საით მიდის ავსტრალიური რაგბი?

## ცბიერი მელა კრიზისზე ალაპარაკდა



**2003 წლის** მსოფლიოს თასზე ავსტრალიელთა მთავარ მწვრთნელს, ცოტა ხნის წინ კი მოსისხლე სამხრეთ აფრიკის შტაბში გადაბარგებულ ედი ჯონსს ჟურნალისტები „ვოლაბების" ახალ დამრიგებელ რობი დინსზე დაეკითხნენ — დიდი ჭკვიანი კაცია ბებერი მელა ედი და მთელი ცხოვრება ასე ეკითხებიან ხოლმე. ჯონსმაც უპასუხა, დინსი გადასარევი სპეციალისტი კია, მაგრამ გაუჭირდება გუნდის მწვერვალზე აყვანა, რაკილა ავსტრალიურ რაგბიში კრიზისი მწიფდებაო.

— რობი ძალიან კარგი მწვრთნელია, მან ბევრს მიაღწია პროვინციულ დონეზე და კლუბებში კოლოსალური შრომაც გასწია, მაგრამ თვითონაც კარგად ხვდება, თუ რამხელა საქმეს შეეჭიდა. რეალურად ავსტრალია ტალანტების სიმცირეს განიცდის. ნიჭიერ მოთამაშეებს სპორტის სხვა სახეობები გვართმევენ. როცა სხვა ქვეყნებში რაგბი ნაკლებად პროფესიულ სახეობად ითვლებოდა, ჩვენთან ამ მხრივ, რადიკალურად განსხვავებული სიტუაცია იყო. ეს იმაზე მეტყველებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სპორტი ავსტრალიისთვის. ახლა ჩვენ დავინახეთ კარგი მომავალი სხვა სახეობებშიც. ეს სახეობები 15-16 წლის ახალგაზრდებს უკვე მრავალწლიან კონტრაქტებს უფორმებენ და ტალანტებს ფაქტობრივად ჩვენ გვართმევენ. კონკურენცია ისეა დაცემული, რომ რაგბიში ძალიან გაადვილდა პროფესიონალ მოთამაშედ გახდომა. ყოველივე ეს უარყოფით გავლენას ახდენს რაგბიზე და სიტუაციის გამოსწორება საკმაოდ ძნელია.

**ზურაბ მიგრიაული**



# კრივი დოლარებში



მეივეზერ-ჰატონის ორთაბრძოლამ დიდძალი შემოსავალი მოიტანა

**კიდევ ერთხელ** დავრწმუნდით, რომ 8 დეკემბერს ლას ვეგასში ფლოიდ მეივეზერსა და რიკი ჰატონს შორის გამართული ჯახი მართლაც დიდი მოვლენა იყო. ამ ბრძოლამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია, რის დასტურადაც ის გამოდგება, რომ 850 ათასი ტრანსლაცია გაიყიდა, სუფთა მოგებამ კი 47 მილიონი შეადგინა.

თუ ოსკარ დე ლა ჰოიას, მაიკ ტაისონისა და ევანდერ ჰოლიფილდის მონაწილეობით შემდგარ ბრძოლებს არ ჩავთვლით, ეს ყველაზე მომგებიანი ჯახი გამოდგა.

წლეულს ჩატარებული ბრძოლებიდან მეივეზერ-ჰატონის დაპირისპირება შემოსავლის მხრივ მხოლოდ მაისში გამართულ იმავე მეივეზერისა და დე ლა ჰოიას ჯახს თუ ჩამორჩა, რომელზეც თავის მხრივ რეკორდული, 2,4 მილიონიანი ტრანსლაცია გაიყიდა და მისმა მოგებამ 134 მილიონი შეადგინა.

**კახა ლომჯაშვილი**



# აზერული კრივ-ბურთის მეორე რაუნდი დაიწყო?



# ნუგზარ კანდელაკი ბაქოში ბრუნდება

**აზერბაიჯანულ** ტურნეში მყოფი საკალათბურთო გუნდ „თბილისის" მოთამაშეებმა ბაქოს „გალასთან" ამხანაგურ მატჩში იჩხუბეს. ქართველები აზერბაიჯანის მრავალგზის ჩემპიონს 69:68 უგებდნენ, თამაშის დასრულებამდე ბევრიც არაფერი რჩებოდა, თუმცა ერთ-ერთ საკამათო ეპიზოდს აყალმაყალი მოჰყვა და თამაშიც ჩაიშალა.

„თბილისი" 18-წლამდელთა გუნდია და საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში თამაშობს. მას ქართული საკალათბურთო სამყაროსთვის კარგად ნაცნობი სპეციალისტი ნუგზარ კანდელაკი წვრთნის, რომელსაც ჩვენს ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებში უმუშავია, ფაქტობრივად დაშლილი ბათუმის „ბასკო" კი 2004 წელს საქართველოს ჩემპიონად გაუხდია.

კანდელაკის გუნდი შემთხვევით არ წასულა ბაქოში. მისით აზერბაიჯანული ნტდ დაინტერესდა და დიდი შანსია, ეს ბაქოური კლუბი კანდელაკმა ჩაიბაროს. ნტდ-ს პრეზიდენტმა ბახრამ აბდინოვმა ქართველ მწვრთნელს ორწლიანი ბიზნეს-გეგმა წარუდგინა და ახლა საკონტრაქტო პირობებზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

კანდელაკისთვის ეს ბაქოური გუნდი სულაც არ არის უცხო — 3 წლის წინ ის ნტდ-ს ხელმძღვანელობდა და სწორედ მან დაამხო ლიტველი რიმას კურტინაიტისის გაწვრთნილი „გალას" ჰეგემონია აზერბაიჯანის ჩემპიონატში.

ერთი საინტერესო დამთხვევა: კანდელაკის გუნდის „გალასთან" წინა შეხვედრაც ჩხუბით დამთავრდა. 2005 წლის აზერბაიჯანის ჩემპიონატის ფინალურ სერიას კანდელაკის ნტდ 2:1 უგებდა „გალას" და მეოთხე მატჩშიც საიმედოდ ლიდერობდა, თუმცა კურტინაიტისის შეგირდები წაგებას ვერ შეეგუენ და ჩხუბი ატეხეს. ის მატჩიც ჩაიშალა და აზერბაიჯანი იმ წელს ჩემპიონის გარეშე დარჩა. თუმც ყველამ კარგად იცოდა, პირველობა ვის ეკუთვნოდა და მორალურ ჩემპიონად ქართველის გაწვრთნილი გუნდი აღიარეს.

ბახრამ აბდინოვს ახლაც მოუწადინებია კანდელაკის მოწვევა და ამ საქმის მოკვარახჭინებას ბევრიც არაფერი უკლია, თუმცა ნტდ-ს პრეზიდენტი ჟურნალისტებთან საუბარში ცოტა მოკრძალებულია: „შესაძლოა, კანდელაკი ჩვენი გუნდის მწვრთნელად არც დაინიშნოს. გადაწყვეტილი ჯერ არაფერია — ამბობს აბდინოვი — ქართველმა სპეციალისტმა გვთხოვა, მისთვის ორწლიანი ბიზნეს-გეგმა წარგვედგინა და ჩვენ მისი ეს სურვილი დავაკმაყოფილეთ. ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკება, თუმც 100 პროცენტით ჯერ არაფერი გადაგვიწყვეტია."

აზერბაიჯანელი ჟურნალისტი, რომელიც ნტდ-ს პრეზიდენტს ესაუბრა, იქვე დასძენს, რომ კანდელაკსა და აბდინოვს შორის არსებული თბილი ურთიერთობების გათვალისწინებით, იოლად სავარაუდოა, მოლაპარაკებები კონტრაქტით დაგვირგვინდეს.

კანდელაკის აზერბაიჯანში შესაძლო გადასვლას იქაური მწვრთნელები არაერთგვაროვნად გამოეხმაურნენ. სანამ „გალა" კანდელაკის „თბილისს" შეხვდებოდა, ბაქოური კლუბის მწვრთნელმა ელხან ელიევმა ესეთი რამ თქვა — „აზერბაიჯანში ადგილობრივი სპეციალისტები უქმად არიან, სამუშაოს ვერ შოულობენ, ჩვენ კი თვალი უცხოეთისკენ გვიჭირავს. კანდელაკი ჩამოვა აქ, იმუშავებს 2 წელი, მერე ქუდს დაიხურავს და წავა. ჩვენ კი რა სიტუაციაშიც ვიყავით, ისევ ისე დავრჩებით. მე აბდინოვსაც პატივს ვცემ და კანდელაკსაც. აბდინოვის დარი ხალხი აზერბაიჯანულ კალათბურთს სჭირდება, მაგრამ ვერ გავიგია, რატომ გადაწყვიტა მან უცხოელი მწვრთნელის მოწვევა."

რატომაა „გალას" ახლანდელი მწვრთნელი კანდელაკის აზერბაიჯანში ჩასვლით აფორიაქებული, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. „გალაში" მისი წინამორბედის, რიმას კურტინაიტისის რკინისებური ავტორიტეტი თავის დროზე სწორედ კანდელაკმა შებღალა.

**ირაკლი პერტაია**

# NBA რეგულარული ჩემპიონატი



ზაზა ფაჩულიას „ატლანტამ“ „იუტას“ გამარჯვება წაგლიჯა

## გადახდა უნდა ვალსაო

**ატლანტა 116:111 იუტა**

ატლანტა: ა. ჯონსონი (17 ქულა, 14 პასი), ჯ. ჯონსონი (26), მ. უილიამსი (21), სმიტი (18 ქულა, 12 მოხსნა, 5 დაფარება), ჰორფორდი (17); ფაჩულია (25 წუთი, 8 ქულა, 5 მოხსნა, 1 ჩაჭრა), ვესტი (7), შ. უილიამსი (2), ჯონსი
იუტა: უილიამსი (14 ქულა, 10 პასი), ბრიუერი (19), კირილენკო (16), ბუზერი (39 ქულა, 12 მოხსნა), კოლინზი (6); მაილზი (10), მილსაპი (7), ჰარპი, ფესენკო, გრიჩეკი, პრაისი

„ატლანტა ჰოქსმა“ ძველისძველი ვალების გასტუმრება დაიწყო. ამას წინათ, ბოლო წლებში პირველად იმარჯვა ფილადელფიაში, ახლა კი შინ „იუტა ჯაზი“ დაამარცხა და ამ გუნდთან ხუთწლიანი უიღბლობის ხანა დაასრულა. 2002 წლიდან დღემდე „იუტას“ მთები არ ამოუბრუნებია, საშუალოზე ოდნავ უკეთესი გუნდი იყო, ხან კი უარესიც, მაგრამ თავად „ატლანტას“ არ შესწევდა მისი ძლევის სასო და ამ პერიოდში შინაც და გარეთაც მორმონთა შტატის სიამყეს ხელიზედ 9 თამაშში დანებდა. „ქორების“ ახალბედა ალ ჰორფორდს რომ უთხრეს ეს ამბავი, გაიკვირვა და რაღაც ისეთიც თქვა, ჩვენს ენაზე დაახლოებით ასე რომ ითარგმნება — „იუტას“ პირველად ვეთამაშე და კარგი ფეხი მქონიაო. ამ 208-სანტიმეტრიანმა ცენტრმა — რომელმაც ზაზა ფაჩულიას ტრავმით ისარგებლა და სასტარტო ხუთეულში მის ადგილზე გამაგრდა — ახლა „იუტას“ 28 წუთში 17 ქულა უმარჯვა.

არ შერცხვნენ სხვა ძირითადებიც. ჰორფორდზე ნაკლები არავის ჩაუგდია. ვეტერანმა და მანამდეც ბევრით ვერაფრით გამორჩეულმა გამთამაშებელმა ენტონი ჯონსონმა 17 ქულას 14 პასიც მიაბა, რაც მისთვის სეზონის რეკორდია. მისმა გონივრულმა თამაშმა „ატლანტას“ ერთობ გაუადვილა მაღალი რანგის მეტოქესთან თანაბრად თამაში. „იუტას“ საუკეთესო მოთამაშე კარლის ბუზერი დაბოლმილივით იძახდა, ეგ მაგის საუკეთესო თამაში იყოო.

თავისი ქნეს „ატლანტას“ სხვა ლიდერებმაც. და სად იყო ამ დროს ჩვენი კაცი? ზაზა ფაჩულიას ქულა-მოხსნები ორმაგი დუბლით არ უხვეჭია, მაგრამ მოელენების გულისგულში იყო. მისი მოედანზე ყოფნისას „ატლანტამ“ მეტოქეს 13 ქულით მეტი ჩაუგდო, ვიდრე ჩააგდებინა და ზაზასაც +13 დაეწერა. არ გაგიკვირდეთ და, მისიანებში ასეთი ნაყოფიერების კოეფიციენტი არავის ჰქონდა. ფაჩულია მოედანზე იყო ბოლო წამებზეც, როცა ვნებები დუღდა და თამაშს წერტილი ფაქტობრივად მან დაუსვა, როცა 114:111 ანგარიშზე საფინალო სირენამდე 3 წამით ადრე ორიდან ერთი საჯარიმო ჩააგდო, თავისი გუნდი 4 ქულით მოაშორა „იუტას“ და გამარჯვებაც გაუნაღდა.

| ალმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ბოსტონი | 20 | 2 | 90,9 |
| ტორონტო | 14 | 11 | 56,0 |
| ნიუ ჯერსი | 10 | 14 | 41,7 |
| ფილადელფია | 10 | 14 | 41,7 |
| ნიუ იორკი | 7 | 17 | 29,2 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 17 | 7 | 70,8 |
| ინდიანა | 13 | 12 | 52,0 |
| კლივლენდი | 11 | 14 | 44,0 |
| მილუოკი | 10 | 14 | 46,7 |
| ჩიკაგო | 8 | 13 | 38,1 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| ორლანდო | 17 | 9 | 65,4 |
| ვაშინგტონი | 13 | 10 | 56,5 |
| ატლანტა | 12 | 12 | 50,0 |
| შარლოტი | 8 | 14 | 36,4 |
| მაიამი | 7 | 17 | 29,2 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 18 | 6 | 75,0 |
| დალასი | 17 | 9 | 65,4 |
| ნიუ ორლეანი | 15 | 10 | 60,0 |
| ჰიუსტონი | 12 | 12 | 50,0 |
| მემფისი | 7 | 17 | 29,2 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| დენვერი | 14 | 10 | 58,3 |
| იუტა | 14 | 12 | 53,8 |
| პორტლენდი | 13 | 12 | 520 |
| სიეტლი | 7 | 18 | 28,0 |
| მინესოტა | 3 | 20 | 13,0 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 18 | 7 | 72,0 |
| ლეიკერსი | 14 | 9 | 60,9 |
| გოლდენ სტეიტი | 14 | 11 | 56,0 |
| კლიპერსი | 9 | 14 | 39,1 |
| საკრამენტო | 9 | 14 | 39,1 |

## კუზიანს მაკმილანი გაასწორებს

17 დეკემბერი

**სან ანტონიო 95:100 ფინიქსი**
სან ანტონიო: დანკანი (36 ქულა, 17 მოხსნა), ჯინობილი (18), ფინლი (15)
ფინიქსი: ჰილი (22), ბარბოსა (18), სტუდემაიერი (17), ნეში (10 ქულა, 10 პასი, 8 მოხსნა)

**პორტლენდი 88:76 ნიუ ორლეანი**
პორტლენდი: როი (24), ვებსტერი (19)
ნიუ ორლეანი: ვესტი (21), ჩენდლერი (16 ქულა, 19 მოხსნა)

**დალასი 111:108 ორლანდო**
დალასი: ნოვიცკი (31 ქულა, 11 მოხსნა), სტეკჰაუსი (21), ჰოვარდი (19)
ორლანდო: თურქოღლუ (26), ჰოვარდი (22 ქულა, 13 მოხსნა), ლუისი (15)

**კლივლენდი 104:99 მილუოკი**
ძირითადი დრო 93:93
კლივლენდი: ჯეიმსი (31), ილგაუსკასი (24 ქულა, 11 მოხსნა)
მილუოკი: რედი (22 ქულა, 9 პასი, 7 მოხსნა), უილიამსი (18 ქულა, 8 პასი, 7 მოხსნა)

**მემფისი 117:125 გოლდენ სტეიტი**
მემფისი: გეი (32), მილერი (20), ლოური (18), ნავარო (17)
გოლდენ სტეიტი: ჯექსონი (28 ქულა, 12 მოხსნა), ელისი (23), დევისი (22)

**მაიამი 91:87 მინესოტა**
მაიამი: ვეიდი (30), ჰასლემი (18 ქულა, 16 მოხსნა), ონილი (15 ქულა, 8 მოხსნა)
მინესოტა: ჯეფერსონი (22 ქულა, 20 მოხსნა), მაკკანტსი (19), ტელფეირი (17)

**ნიუ იორკი 92:119 ინდიანა**
ნიუ იორკი: რენდოლფი (26), კარი (16)
ინდიანა: დანლივი (36), ონილი (22)

გაგიკვირდებათ, მაგრამ ისევ მოიგო „პორტლენდმა“. ეს უხერხემალო გუნდი გამარჯვებისკენ პირდაპირ გასაოცარ სწრაფვას ამჟღავნებს. „უხერხემლოს“ უსიამო წოდება კი მას შემდეგ მიიღო, რაც გაირკვა, რომ წლევანდელ დრაფტზე პირველ ნომრად აყვანილი გოლიათი გრეგ ოდენი სწორედ ხერხემლის ტრავმის გამო მთლიანად გამოტოვებდა თავის პირველ სეზონს. ვინღა შერჩა ამ გუნდს? წინა სეზონის საუკეთესო ახალბედა ბრენდან როი? ასევე ტრავმიანი ლამარკუს ოლდრიჯი? სტივ ბლეიკი და ჯარეტ ჯეკი? რა სახსენებლები ესენი არიან...

მაგრამ აღმოჩნდა, რომ სწორედაც ღირსსახსენებლები ყოფილან. 90-იან წლებში ნბა-ს ერთ-ერთმა საუკეთესო დამცველმა და მწვრთნელობაშიც დაცვის მოტრფიალე-მოქადაგე ნეიტ მაკმილანმა ამ ისე რა ბიჭებისგან შექმნა გუნდი, რომელსაც, ჰოი საოცრებავ, ვერავინ ამარცხებს. „ნიუ ორლეანთან“ „პორტლენდს“ ოლდრიჯიც აკლდა და სხვებსაც არ მოუწყვიათ ორ და სამქულიანების ფეიერვერკი, მაგრამ მეტოქესაც ძალიან ცოტა ჩააგდებინეს და ასე მოიგეს ზედიზედ მერვედ! გუნდს კვლავ ბრენდან როი გაუძღვა გამარჯვებისაკენ, რომელიც წინა ორი კვირის (!) საუკეთესო მოთამაშეთ ხომ დაასახელეს და ეს კვირაც, აგერ, 24 ქულითა და 8 პასით გახსნა.

სან ანტონიოში შეიყარნენ დასავლეთის ბობოლები, „სფურზი“ და „ფინიქს სანზი“. უცნაურია, მაგრამ არავის უხსენებია ახლო წარსულის საპლეიოფო ბატალიები, შურისძიება და მისთანები. „სან ანტონიომ“ ხომ პლეი ოფის მეორე წრეში უდაძბულეს ბრძოლაში სძლია „ფინიქსს“, მერე დასავლეთის ფინალში იოლად მოუგო „იუტას“ და დიდ ფინალში კიდევ უფრო იოლად გაუმკლავდა „კლივლენდს“. სტივ ნეშის ეპოქაში, ანუ ბოლო სამ სეზონში „სან ანტონიომ“ ორჯერ გადაუღობა გზა „ფინიქსს“ და ბუნებრივია, ფინიქსში სანანტონიელები გულზე დიდად არ ეხატებათ. მაგრამ ამ თამაშში არ დარხეულა არც ხმა და არც ძახილი. „სანზი“ ჩავიდა სამხრეთ ტეხასში,



სასწაულთმოქმედი ნეიტ მაკმილანი

ეთამაშა „სფურზს“ და დაამარცხა. კარგი თამაში იყო, ესღა თქვა გამარჯვებულთა ერთ-ერთმა ლიდერმა ამარე სტუდემაიერმა, განსაკუთრებით ბოლო ხუთ წუთში ავანქარეთ ტემპი და ამ დროს გულშემატკივრობაც პიკს აღწევსო.

სათქმელია, რომ „სან ანტონიოს“ აკლდა ტონი პარკერი, ხოლო ახლახან გამოჯანმრთელებულმა მეორე ლიდერმა ტიმ დანკანმა სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა — 36 ქულა და 17 მოხსნა მოიხვეჭა. თავადაც ხედავთ, ამაოდ დაშვრა.

მორიგი გამარჯვება ჩაიქნია კიდევ ერთმა მძლავრმა დასავლელმა „დალასმა“, რომელიც წინა რეგულარულისგან განსხვავებით გამწარებით როდი ცდილობს ყველა თამაშის მოგებას. შარშან რომ მოიგო, რა იხეირა რო?! სწორედ პლეი ოფის დაწყებისას გადაიწვა ბავშვის მიერ ნაწვალები ნათურასავით. ახლა კი ჩანს, პლეი ოფისთვის ინახავს თავს და თავს იზოგავს. ახლა დალასელებმა ძლიერი აღმოსავლელი „ორლანდო“ გაუშვეს ტეხასიდან ნაწყენი.

**კოტე ყორშია**

# კვირის მოთამაშეები

## აღმოსავლეთი

**პოლ პირსი (ბოსტონი)**

## დასავლეთი

**ბრენდან როი (პორტლენდი)**



„პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის“ ლიდერ ბრენდან როის კიდევ ერთხელ დაუფასდა გუნდის ზედიზედი გამარჯვებები. მეორე წელია, ბიჭი ნბა-შია და უკვე ისეთ სტაბილურ კალათბურთს თამაშობს, რომ აგერ ზედიზედ მეორე კვირაა, დასავლეთ კონფერენციის საუკეთესო მოთამაშედ ასახელებენ.

გასულ კვირას „პორტლენდმა“ ოთხი თამაში გამართა, ოთხივე მოიგო და მოგება-წაგებები გაათანაბრა. როიმ ამ საქმეში საშუალოდ 23,0-ქულიანი, 6,3-პასიანი და 4,5-მოხსნიანი წვლილი დადო.

აღმოსავლეთში კი რჩეულად, ახევე იმ გუნდის გამორჩეული მოთამაშე დასახელდა, რომელიც არ აგებს. „ბოსტონ სელტიქსმა“ ზედიზედ გამარჯვებათა რიცხვი 9-მდე აიყვანა და ამ შთამბეჭდავი სიიდან 3 გასულ კვირაზე მოდის. პირსმა ამ მოგებებში საშუალოდ 25,3 ქულა 5,0 მოხსნა და 3,0 პასი აკეთა.



კვირის სიმბოლური ხუთეული („სარბიელის“ ვერსია): ჩონსი ბილაფსი (დეტროიტი), ბრენდან როი (პორტლენდი), პოლ პირსი (ბოსტონი), ანთაუნ ჯემისონი (ვაშინგტონი), კრის კამანი (კლიპერსი)

# ჯერომ იგინლა კვირის რჩეულია



# პატარა მფრინავს დიდი ვარსკვლავი ამჯობინეს

**ნჰლ-ში** წინა კვირა უჩვეულოდ შედეგიანი გამოდგა, რის გამოც გასული შვიდდღეულის საუკეთესო მოთამაშეთა შორის მეკარეთა ადგილი არ გამოიძებნა, რაც ძალიან იშვიათი შემთხვევაა.

როგორც ყოველთვის, ახლაც კვირის პირველი ვარსკვლავით დავიწყოთ. ეს პატივი „კალგარის“ კაპიტან ჯერომ იგინლას ერგო, რომელიც სუპერფორმაშია და ჯერჯერობით კარიერის საუკეთესო რეგულარულ ჩემპიონატს ატარებს. „ალების“ ლიდერმა წინა კვირას ყველაზე მეტი, შვიდი გოლი გაიტანა (ამათგან ორი გამარჯვების მომტანი იყო) და ამას ორი შედეგიანი გადაცემაც დაურთო.

იგინლამ განსაკუთრებით „ტამპასთან“ და „კაროლინასთან“ იყოჩაღა — პირველთან ჰეთ თრიქი მიითვალა, მეორესთან კი კარიერის რეკორდი გაიმეორა და ოთხი ქულა (2+2) დააგროვა. შედეგად, იგინლამ ბომბარდირთა დავაშიც გვარიანად წაიწია და თავისი 48 ქულით (23+25) მხოლოდ ვენსან ლეკავალიეს ჩამორჩება.

მეორე ვარსკვლავობა „დალასის“ უკანახაზელ სერგეი ზუბოვს ერგო, რომელიც ათწლეულზე მეტია სტაბილურად უმაღლეს დონეზე თამაშობს. რუსმა მცველმა წინა შვიდდღეულში 8 ქულა (1+7) ჩაიწერა აქტივში. მისგან ყველაზე მეტად „ედმონტონი“ დაზარალდა, რომელთან შეხვედრაშიც ზუბოვმა გოლს სამი შედეგიანი გადაცემაც დაურთო. რუსმა უკვე 32 ქულა მოაგროვა (4+28), რაც ნჰლ-ში საუკეთესო შედეგია მცველთა შორის.

მესამე ვარსკვლავად „ფილადელფიის“ ახალგაზრდა მარჯვენაფლანგელი ჯოფრი ლუპული დაასახელეს. სადაც სამართალია, ამ ბიჭს პირველი ვარსკვლავი უნდა აეღო, რადგანაც წინა კვირას ორი ჰეთ თრიქი შეასრულა და მთლიანობაში 11 (6+5) ქულასაც მოუყარა თავი. თუმც „მფრინავს“ მაინც სახელიანი ვარსკვლავები ამჯობინეს.

ლუპულმა ყველაზე მეტად მაინც „პიტსბურგი“ დაჩაგრა, რომელთან შეხვედრაშიც სამ გატანილ შაიბას ამდენივე საგოლე გადაცემა დაურთო. ბოლო „ფილადელფიელი“ კი, რომელმაც ერთ შეხვედრაში ამდენი ქულის მოხვეჭა შეძლო, ერიკ ლინდროსის გახლდათ (1997 წლის 19 მარტს).

**კახა ლომაშვილი**

## რეგულარული ჩემპიონატი

17 დეკემბერი

**ლოს ანჯელესი 2:4 კოლორადო**
*0:3 0:0 2:1*
0:1 სმიტი (3), 0:2 პლინკა (4), 0:3 შჩასტნი (15), 1:3 ბრაუნი (41), 2:3 ენძუში (45), 2:4 პაიტი (59)

**დეტროიტი 4:3 ვაშინგტონი**
*1:2 1:0 1:1 0:0 (1:0 ბულიტებით)*
1:0 ჰოლმსტრომი (4), 1:1 ოვეჩკინი (10), 1:2 შულცი (20), 2:2 ზეტერბერგი (31), 3:2 ჰოლმსტრომი (56), 3:3 სიომინი (59)



# საჩოგბურთო ამბავ-წამბავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამერიკას ახალი კაპიტანი ეყოლება

2009 წლიდან აშშ-ს საჩოგბურთო ქალთა ნაკრებს ახალი კაპიტანი ეყოლება. ზინა გარისონს ერთ დროს მისი მეწყვილე მერი-ჯო ფერნანდესი შეცვლის.

საჩოგბურთო კარიერის დასრულების შემდეგ ფერნანდესი კომენტატორად მუშაობდა, მომდევნო წლიდან კი ნაკრებში მწვრთნელის რანგში იქნება და გარისონს დაეხმარება. ეს ყველაფერი იმისთვის კეთდება, რომ ფერნანდესი ახლოდან გაეცნოს კაპიტნის ფუნქციებს — პოსტს კი 2009 წლის 1 იანვრიდან ჩაიბარებს.

„ფედერაციის თასზე ყოველთვის კარგად ვთამაშობდით და ამიტომ ჩვენი მიზანი ტიტულის დაბრუნება იქნება. ფერნანდესის გვეიმედება და მიგვაჩნია, რომ მისი ხელმძღვანელობით მიზანს მივაღწევთ“ — განაცხადა აშშ-ს საჩოგბურთო ასოციაციის პრეზიდენტმა ჯეინ ბრაუნ გრაიმსმა.

შეგახსენებთ, რომ წლეულს აშშ-მ ფედერაციის თასის ნახევარფინალს უწია, სადაც მომავალ ჩემპიონ რუსეთთან დამარცხდა.


დავიდ ფერერი

## ჰაასს უიმბლდონი მოუნდა

გერმანიის პირველმა ჩოგანმა ტომი ჰაასმა განაცხადა, რომ უიმბლდონზე გამარჯვებაზე ოცნებობს — „სლემტურნირის მოგება ჩემი ოცნებაა, თუმც ვაღიარებ, რომ ეს მაგრად გამიჭირდება.“

მიუხედავად იმისა, რომ ჰაასი საუკეთესო შედეგებს ავსტრალიისა და აშშ-ს ღია პირველობებზე აჩვენებს ხოლმე, მისი მიზანი მაინც ბრიტანეთში გამარჯვებაა.

„ვფიქრობ, რომ, სხვა ტურნირებისგან განსხვავებით, უიმბლდონის მოგების მეტი შანსი მაქვს. აქ უფრო მოკლე გათამაშებებია ხოლმე, შედეგად თამაშებიც მალე მთავრდება და მომდევნო მატჩისთვის აღდგენა უფრო იოლია.“

ჰაასს მიაჩნია, რომ აქამდე უიმბლდონზე არ უმართლებდა.

„თითქმის ყველა მატჩი აქ თანაბარ ბრძოლაში წავაგე, რაც იმის ბრალია, რომ გადამწყვეტ მომენტებში ბედი ზურგს მაქცევდა ხოლმე. მომავალ წელს ვეცდები, ბადესთან უფრო ხშირად გავიდე, ეგებ ასე მაინც დავატრიალო ჩარხი საჩემოდ.“

გერმანელს ოცნებაში ხელს ვერავინ შეუშლის, მაგრამ საეჭვოა, ბადესთან ხშირი გასვლებით ჩვერს დროში ვინმეს დაფრთხობა მოახერხოს.


ტომი ჰაასი

## ფერერი შინ საუკეთესოა

ჩოგბურთზე მწერალმა ესპანელმა ჟურნალისტებმა ქვეყნის წლის საუკეთესო მეჩოგნედ დავიდ ფერერი დაასახელეს. 25 წლის პირინეელს მართლაც შთამბეჭდავი სეზონი ჰქონდა. მან წლეულს სამი ტურნირი მოიგო — ოკლენდში (ფინალში თანამემამულე ტომი რობრედოს აჯობა), შვედურ ბასტადში (ნიკოლას ალმაგროს მოერია) და ტოკიოში (რიშარ გასკე დაამარცხა). გარდა ამისა, ფერერმა სლემტურნირის ნახევარფინალს კარიერაში პირველად უწია — აშშ-ში ის ნოვაკ ჯოკოვიჩთან დამარცხდა.

დავიდმა სეზონიც მაჟორულ ნოტაზე დაასრულა, როცა შანხაიში გამართულ მასტერსის თასზე ფინალამდე დაუმარცხებლად მივიდა, თუმც იქ როჯერ ფედერერს უკვე ველარაფერი მოუხერხა.

## გასკეს ადელაიდა საეჭვოა

რიშარ გასკემ შეიძლება დამდეგი წლის პირველი ტურნირზე ვერ ითამაშოს. ფრანგს ვარჯიშზე ფეხის ტრავმა გაუმიზეზებია. გასკეს მწვრთნელ ერიკ დებლინგის თქმით, დაახლოებით 10 დღეში გაირკვევა, შეძლებს თუ არა რიშარი ადელაიდაში ჩასვლას:

„ძველი ტრავმის რეციდივია. რიშარი მადრიდის მასტერსზეც და წლის შემაჯამებელ ტურნირზეც გამაყუჩებლებით თამაშობდა და ეს დაზიანებაც ამან გამოიწვია. ამიტომ ახლა აჩქარებას მოვერიდებით — ჯობს, ადელაიდის ტურნირი გამოტოვოს, ვიდრე ავსტრალიის ღია პირველობა.“

## ივანოვიჩს ვერავინ აშინებს

ანა ივანოვიჩმა მსოფლიოს უძლიერესი მეჩოგნეები გამოიწვია.

სერბი ლამაზმანის თქმით, მან ახლ გასრულებულ სეზონში აშკარად მოუმატა, რის გამოც იმედიანად არის და აცხადებს, რომ უკვე არავისი აღარ ეშინია — „ახლა გაცილებით გამართულ ჩოგბურთს ვთამაშობ. ადრე ბევრს ვნერვიულობდი და ყველაფერზე ვღელავდი. თუმც ახლა ემოციების გაკონტროლება ვისწავლე, რაც ტოპ-მეჩოგნეებთად დაპირისპირებისას აშკარად გამომადგება.“

ივანოვიჩი, რომელსაც ერთი თვის წინ 20 წელი შეუსრულდა, ამბობს, რომ ძალიან უნდა რომელიმე სლემტურნირის მოგება და ეცდება, სურვილი უკვე ავსტრალიაში აისრულოს — „მაგარი იქნებოდა ავსტრალიაში მოგება. სეზონის წინ ვღელავ, მაგრამ მაღალი დონის ჩოგბურთელად ქცევას თუ ვაპირებ, ამ ზეწოლას უნდა გავუმკლავდე. დღეისთვის საკუთარ ძალებში აბსოლუტურად ვარ დარწმუნებული.“

**კახა ლომაშვილი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ძიძარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნაჭიბაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ყიფიანი, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გიორგი ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, თამაზ მოგრიაული, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, გრიგოლ ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
სარეკლამო სამსახური: შალვა ციხელაშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლელა ბეგლარიშვილი, ლიანა ბუხულია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge